მაგრამ დღეს ბიბლიოთეკებში ჩანერის მსურველთა რიცხვი კლებულობს, სამკითხველო დარბაზები ცარიელდება. ინტერნეტში კითხვა უფრო პოპულარული ხდება, ძველი თუ ახალი ნიგნები ინტერნეტ ოპერატორთა და ვირტუალურ ბიბლიოთეკათა საკუთრებად იქცევა. ახლა ძნელია იმის თქმა, ეს პროცესი ტრადიციული ბიბლიოთეკების დეგრადაციაზე მიუთითებს თუ ახალი ნაბიჯია მათ განვითარებაში. ჩნდება მრავალი კითხვა თანამედროვე ნიგნოსაცავის ფუნქციებთან და მოზნებთან დაკავშირებით.

ამკარაა, რომ კულტურა ეკლექტური და დეცენტრალიზებული ხდება. გლობალური კომერციული კანონები შთანთქმავს უპირებს ქვემარტივი ხელოვნების დარგებს, მათ შორის, ნამდვილ ლიტერატურას. მისი გადარჩენის გზების ძიება აქტიურდება. ფიქრობენ, რომ ეს მისია მხოლოდ მკითხველს დაეკისრება. სავარაუდოდ, ის გადანყვეტს ნიგნისა და დღევანდელი ბიბლიოთეკების ბედსაც.

## EKA CHIKVAIDZE

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature Georgia*

### **Negation in the Knight in the Panther's Skin**

Gelati and Ikalto literary schools are prominent not only due to the novelty of philosophical and theological vision but also with the novel structures of grammar and forms of style. Elegance of form of the language, wide range of terms or popular vocabulary, dialectal vocabulary, varied application of fixed grammatical categories and focusing on existing trends, new forms of lexemic roots and formants or new application -- is an incomplete listing of the features the combination of which forms the language of the Knight in the Panther's skin. This time we are focusing on one of the peculiarities of Rustaveli's language: negation in the Knight in the Panther's skin.

Negation in the Knight in the Panther's Skin expresses the stance of the representatives of the Ikalto and Gelati literary school that demonstrates, on the one hand, standard existing common forms system (e.g., **"I am not sure how to venture to say"**, **"I was there and he did not tell me..."** **"not all men are equal"...**), and, on the other, the use and inclusion of innovative forms in narration. From this standpoint double negation in The Knight in the Panther's Skin is worthy of particular attention; it is especially interesting not only due to lexical and acoustic effect but with its semantic function as well (we mean the negation of the type **"not infrequent"**). Double negation is used not only with the suffixes, but also with lexemes derived using negative formants. Respectively, in a number of cases, positive (affirmative) content is derived, similar to a math formula (minus + minus=plus).

With respect to expressing negation Rustaveli offers diversity of forms that can be demonstrated using the following system:

- I. Negation using particles (not/no, may not/cannot, don't, let...not...)
- II. Negation using a formant (un-, in-, ...)
- III. Double negation where Rustaveli concurrently uses both negation with a suffix and a formant.

## ეკა ჩიკვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“

გელათისა და იყალთოს სალიტერატურო სკოლები გამორჩეულია არა მხოლოდ ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხედვის სიახლით, არამედ გრამატიკულ და სტილურ ფორმათა ნოვაციური სტრუქტურებითაც. ენის ფორმოზრივი სინატიფე, ტერმინოლოგიისა თუ ყოფითი ლექსიკის ფართო სპექტრი, დიალექტური ლექსიკა, ფიქსირებულ გრამატიკულ კატეგორიათა ნაირგვარი დატვირთვა და არსებული ტენდენციების გამოკვეთა, ლექსემურ ძირთა და ფორმანტთა ახალი ფორმები თუ ახლებური გამოყენება — ეს გახლავთ არასრული ნუსხა იმ მახასიათებლებისა, რომელთა ერთობლიობაც ქმნის „ვეფხისტყაოსნის“ ენას. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ რუსთაველის ენის ერთ თავისებურებაზე: უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“.

უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“ იყალთელთა და გელათელთა იმ პოზიციის გამომხატველია, რომელიც წარმოაჩენს, ერთი მხრივ, არსებული ტრივიალური ფორმოზრივი სისტემის სტანდარტულ მდგომარეობას (მაგ.: „მას არა ვიცი, შევკადრო...“ „მუნა ვდგე და არა მითხრა...“ „კაცი არ-ყველა სწორია“...), ხოლო, მეორე მხრივ, ნოვაციური ფორმების გამოყენებასა და ჩართვას თხრობაში. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორმაგი უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“, რაც არა მხოლოდ ლექსიკური და აკუსტიკური ეფექტით, არამედ სემანტიკური დატვირთვითაც საგანგებო ყურადღებას იპყრობს (მხედველობაში გვაქვს „არ უხშირონი“ ტიპის უარყოფა). ორმაგი უარყოფა გვხვდება არა მხოლოდ ნაწილაკიანი ფორმით, არამედ უარყოფითი ფორმანტებით ნაწარმოები ლექსემებითაც. შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, მათემატიკური ფორმულის (მინუსი+მინუსი=პლუსი) მსგავსად ვიღებთ დადებით (მტკიცებით) შინაარსს.

უარყოფის გამოსახვის თვალსაზრისით, რუსთაველი ფორმოზრივი ნაირგვარობას გვთავაზობს, რაც სისტემატიზირებული სახით შემდეგგვარად წარმოჩნდება:

- I. ნაწილაკიანი უარყოფა (არ/არა, ვერ/ვერა, ნუ, ნურა...);
- II. ფორმანტიანი უარყოფა (უ-, უ-ო, ...)
- III. ორმაგი უარყოფა, სადაც ნაწილაკსა და ფორმანტიან უარყოფას ერთდროულად მიმართავს რუსთაველი.

**RAMAZ CHILAIA**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **“The Knight in the Panther Skin” as an Artefact**

The present understanding of artifacts implies to an ideal object, spiritual phenomenon of the public life existing in the different spheres of culture. It presents even a scientific theory. Artifact is characterized by physical qualities as well as symbolic ones.

Nothing is doubtful in the Mediavistics about the fact that the cultural life of the Middle Ages has original- historical value. While estimating social or cultural events of this epoch we must take into consideration the reality of that period. It is absolutely correct to think that the investigation of the problems and issues of “The Knight in the Panther Skin” must be discussed in connection with the religious-philosophical ideology and aesthetic criteria of the feudal-paternalistic society.

“The Knight in the Panther Skin” is a national and cultural artifact of Georgia of the Middle Ages period.

The poem includes the most complicated issues connected with the author, plot, interpretation of the universe and poetics. It witnesses a versatile and vast encyclopedic knowledge of the Middle Ages. It must be also underlined that the subject of interest of the secular literature is materialistic world and earthly life together with the ideals of a human being. Georgian secular literature of the XII century is characterized by humanistic-Renaissance ideas. This was the result of Georgia’s relationships with the civilized countries of that time.

It must be also mentioned that “Even if we do our best to understand and explain a literary work only on the basis of the conditions of the given epoch, we won’t be able to penetrate into the profundity of thoughts. The epoch limitation does not give us any ability to learn about the future fate of the literary work. Literary works destroy their time borders and they live a long life and exist throughout centuries. Their life is more intensive and absolute than it used to be the period of their their creation.

## რამაზ ჭილაია

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ვეფხისტყაოსანი როგორც არტეფაქტი

არტეფაქტის სადღეისო გაგება გულისხმობს იდეალურ ობიექტს, კულტურის სხვადასხვა სფეროში არსებულ საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერ ფენომენს; სამეცნიერო თეორიასაც კი. ნარმოდგება როგორც ფიზიკური მახასიათებლებით, ასევე ნიშნური ან სიმბოლური ხასიათით.

მედიევისტიკაში საკამათო არ არის, რომ შუასაუკუნეების კულტურულ ცხოვრებას აქვს თვითმყოფადი ისტორიული ღირებულებები. ამ ეპოქის სოციალურ მოვლენათა შეფასებისას უცილობლად უნდა დავეფუძნოთ იმდროინდელ სინამდვილეს. სწორია მოსაზრება, რომ ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევა ფეოდალურ-პატრონყმური საზოგადოების რელიგიურ-ფილოსოფიური იდეოლოგიიდან და ესთეტიკური კრიტერიუმებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია.

ვეფხისტყაოსანი შუასაუკუნეების საქართველოს ეროვნულ-კულტურული არტეფაქტია. მოიცავს ავტორის, სიუჟეტის, მსოფლშეგრძნების, პოეტიკის ურთულეს საკითხებს. დასტურდება შუასაუკუნეების მრავალმხრივი, ენციკლოპედიური ცოდნა. ხაზგასასმელია, რომ საერო ლიტერატურის დაინტერესების საგანია მატერიალური სამყარო და ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება, საამქვეყნო იდეალები. ჰუმანისტურ-რენესანსული შეხედულებანი XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ნიშანდობლივი მხარეა. ამას ხელი შეუწყო კულტურულ ქვეყნებთან ურთიერთკავშირმა. ამასთანავე, უნდა ითქვას: „რაგინდ ვეცადოთ ნაწარმოების გაგებას და ახსნას მხოლოდ მისი ეპოქის პირობებით, ჩვენ ვერასოდეს ვერ შევალწევთ მის აზრობრივ სიღრმეებში. ეპოქით შემოსაზღვრა არ იძლევა საშუალებას მომდევნო საუკუნეებში ნაწარმოების მომავალი ბედის გასაგებად. ნაწარმოებები ანგრევენ თავისი დროის ფარგლებს, ცხოვრობენ საუკუნეებში, ანუ დიდ დროში, თანაც ხშირად უფრო ინტენსიური და სრული სიცოცხლით, ვიდრე თანადროულობაში“.

ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ ჯერ კიდევ დაუზოგავად უნდა იღვანოს რუსთაველის ნაშრომის კონკრეტული, ეპოქის შესატყვისი ელემენტების ასახსნელად. რუსთაველი არ გახლავთ რომელიმე სექტისა თუ „იზმის“ მიმდევარი. და, თუკი მას რაიმე ეფარდება ესაა — უნივერსალიზმი.

## NATELA CHITOURI

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Some of Victor Nozadze's Reflections on *Vepkhistqaosani***

In our opinion, Jemal Karchkhadze's view concerning the fact that we have placed our classics in museum and only reserve the right to watch it from a distance also refers to the *Vepkhistqaosani*. Many interesting episodes, phrases which seemed to endanger the idealized characters of the heroes remained unnoticed by the soviet literary criticism.

The idea that each epoch always finds something important for itself in true classics is well documented by contemporary Rustvelological studies but this time we would like to indicate that a profound dialogue with Rustaveli began as early as the thirties of the 20<sup>th</sup> century in conditions of soviet reality in tabooed Georgian émigré literature, namely in Victor Nozadze's fundamental Rustvelological works of which many are still unknown to the wide public. Here we deal with Victor Nozadze's unpublished work "*Vepkhistqaosani's* Public Morals" and focus our attention on several moments.

1. According to Nozadze's observation the content of the word "heart" in the poem coincides with both folk and biblical understanding of this word. Rustaveli with his content loading creates new psychological notions by means of which he demonstrates high level of thinking, the process of self immersion, noiseless thought" (that is characteristic to Avtandil).

2. The scholar reflects as to what Rustaveli's phrase "holistic man" means. He proves that this is a man who remains an earthly creature, can make mistakes depending on the circumstances, expresses willingness to compromise, but through constantly renewable process of self-cognition he aspires to divine perfection.

3. Nozadze's immersion into the text of the poem or as he himself termed it "gankitkhvani", "chxrekani" demonstrates that the depth of Rustaveli's wisdom is expressed not only in aphorisms, in wise sayings but in the episodes and phrases reflecting everyday human relations unnoticed at first glance, ordinary, without understanding of which the comprehension of Rustaveli's system of values would be difficult.

## ნათელა ჩიტაური

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ვიქტორ ნოზაძის ზოგიერთი მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ვფიქრობთ, ჯერ კარგად აზრობს, რომ ჩვენი კლასიკა მუზეუმში მოვათავსეთ და მხოლოდ შორიდან ცქერის უფლება დავიტოვეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ეხება. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ პოემის მაღალიდგური პრობლემატიკის გააზრების კვლადაკვალ შეუმჩნეველი დატოვა ბევრი საინტერესო ეპიზოდი, ფრაზა, რომელნიც თითქოსდა საფრთხეს უქმნიდა გმირთა იდეალურ, უფრო სწორად, იდეალიზირებულ ხასიათებს.

ნამდვილ კლასიკაში რომ ყოველი ეპოქა რაღაც თავისთვის მნიშვნელოვანს პოულობს, შესანიშნავად წარმოაჩინა თანამედროვე რუსთველოლოგიამ, მაგრამ ამჯერად ის გვინდა ვთქვათ, რომ სიღრმისეული დიალოგი რუსთაველთან დაიწყო ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა სინამდვილეში ტაბუდადებულ ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში, კერძოდ, ვიქტორ ნოზაძის ფუნდამენტურ რუსთველოლოგიურ ნაშრომებში, რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ უცნობია საზოგადოებისათვის. არაერთხელ აღნიშნულა ნოზაძის რუსთველოლოგიურ თხზულებათა კვლევის სიღრმისეულობა და მრავალმხრივობა. ამჯერად შევეხებით ვიქტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელ ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივი ზენი“ და ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მომენტზე.

1. ნოზაძე განიხილავს ფრაზას „გულისა მონაზიდობა“ და მოკითხვის წესს, ასევე მათთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, რომელნიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატრონყმური ურთიერთობის გააზრებისათვის, აღნიშნავს, რატომღა გადამწყვეტი პატრონის პოზიცია ამ ურთიერთობაში.

2. ნოზაძის დაკვირვებით, პოემაში სიტყვა „გულის“ შინაარსი თანხედება ამ სიტყვის როგორც ხალხურ, ასევე ბიბლიურ გაგებასაც. რუსთველი მისი შინაარსობლივი დატვირთვით ქმნის ახალ ფსიქოლოგიურ ცნებებს, რომელთა საშუალებით წარმოაჩენს აზროვნების მაღალ საფეხურს, ადამიანის საკუთარ თავში ჩაღმავების პროცესს, „უხმაურო ფიქრს“ (რაც დამახასიათებელია ავთანდილისათვის.)

3. მკვლევარი განიხილავს, რას ნიშნავს რუსთაველის ფრაზა „სრული კაცი“. მისი დასაბუთებით, ესაა ადამიანი, რომელიც რჩება მიწიერ



არსებად, რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა უშვებდეს შეცდომებსაც, მიდიოდეს ზნეობრივ კომპრომისებზე, მაგრამ ის თვითშემეცნების მუდმივად განახლებადი პროცესით მიისწრაფის ღვთაებრივი სრულყოფისაკენ.

4. ამ ნაშრომში ასევე საინტერესოა ნოზაძის დაკვირვებანი ღმერთისა და კაცის ურთიერთობის, ღმერთისა და განგების, ღმერთისა და ბედის მიმართებათა შესახებ.

პოემის ტექსტში ნოზაძისეული ჩაღრმავება, ანუ როგორც თავად უწოდებდა, „განკითხვანი“, „ჩხრეკანი“ წარმოაჩენს, რომ რუსთაველის აზროვნების სიღრმე განფენილია არა მხოლოდ აფორიზმებში, ბრძნულ შეგონებებში, არამედ ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, ჩვეულებრივ, ყოფითი ადამიანური ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებსა და ფრაზებში, რომელთა გააზრების გარეშე გაჭირდება რუსთაველის ფასეულობათა შეცნობა.

## **EKA CHKHEIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“The Knight in the Panthers’ Skin” in the postmodern era**

Some of literary critics see the beginning of postmodern era in James Joyce’s literary works and particularly in his “Ulysses”, which represents a very peculiar and ironic interpretation of the classical text of “Odysseus”. To be more precise it is not even an interpretation. It is a creation of new literary reality, new text, if the reader does not know the original he will not be able to use it for perception of new literary reality. Postmodernism is not only reading classical text from modern point of view but it is representation and discussing old texts as well, it creates new literary reality using irony and parody, thus it is impossible to perceive the texts without understanding its original version.

It’s hard to say where postmodern history of Georgian literature takes roots from. Naturally we recall Guram Dochanashvili “Waterpoloo – restoration works” where in the end ‘Afredrik-me’ represents bibliography as well (Prosper Merimee, Carmen...), the same authors’ “only one man” represents Greece mythology plot (about Skyros) using parody and thus making great impression and literary effect.

Aka Morchiladze in his novel “The book” reflects the history of the old man Nuradin-Fridon. It is an obvious representation of postmodern mode: it implies

that the reader is fully aware and knows well “The Knight in the Panthers’ Skin” and its literary world as well.

The original structure of the narrative is echoed in the post-modern work of Aka Morchiladze “The tale of Panthers’ and commander”, we meet Fatman-Khatun and Nuradin Fridon in the novel. Post-modernism implies the intellectual reader who is able to perceive all the shades of meaning of the text and interpret it from modern points of view, poet-modern text is different style of literature and it creates definitely new reality in literature world.

## ეკა ჩხეიძე

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ვეფხისტყაოსანი“ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში**

ლიტერატურისმცოდნეთა გარკვეული ნაწილი პოსტმოდერნის დასაწყისს ჯეიმს ჯოისის შემოქმედებაში ხედავს. კერძოდ, ლაპარაკია მის „ულისეზე“, რომელიც კლასიკური ტექსტის („ოდისეას“) უალრესად თავისებურ, ირონიულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. კიდევ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს უკვე ინტერპრეტაციაც აღარაა. ეს არის შექმნა ახალი მხატვრული რეალობისა, ახალი ტექსტისა, რომელიც ვერ აღიქმება ბოლომდე (მთლიანად, სიღმისეულ დონეზე), თუ მკითხველი პირველწყაროს არ იცნობს და არ შეუძლია მისი გამოყენება ამ ახალი მხატვრული რეალობის აღსაქმელად. პოსტმოდერნი მხოლოდ კლასიკური ტექსტების ახლებურად წაკითხვა არაა, იგი თავისებური კამათიცაა ძველ ტექსტებთან, პაროდირების ან იუმორის საშუალებით ისეთი ახალი მხატვრული რეალობის შექმნაა, რომლის სრულყოფილი აღქმა და გააზრება პირველწყაროს გარეშე შეუძლებელია.

ძნელი სათქმელია, როდიდან უნდა დავიწყოთ პოსტმოდერნიზმის ისტორია ქართულ ლიტერატურაში. ბუნებრივია, აქ გაგვასხენდეს გურამ დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“, სადაც ფინალურ ნაწილში აფრედერიკ მე გამოყენებული ლიტერატურის სიასაც კი გვთავაზობს (პროსპერ მერიმე, კარმენი...) ან მისივე „მხოლოდ ერთი კაცი“, რომელიც ბერძნული მითოლოგიური სიუჟეტის (სკირონის შესახებ) პაროდირების საშუალებით ძალზე შთამბეჭდავ მხატვრულ ეფექტს აღწევს.

აკა მორჩილაძის მოთხრობაში „ნიგნი“ გადმოცემულია მოხუცებულის ნურადინ-ფრიდონის ისტორია. ეს უკვე ამკარად პოსტმოდერნული ხერხია: იგულისხმება, რომ მკითხველი კარგად იცნობს „ვეფხისტ-

ტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხრობა სრულიად გულგრილს დატოვებს მკითხველს.

ნარატივის ორიგინალური სტრუქტურა თავისებურ გამოცახილს ჰპოვებს აკა მორჩილაძის კიდევ ერთ პოსტმოდერნულ თხზულებაში „ამბავი ვეფხვისა და ასისთავისა“, სადაც ვხვდებით ფატმან-ხათუნსა და ნურადინ ფრიდონს. პოსტმოდერნიზმი კარგად მომზადებულ მკითხველს გულისხმობს, ისეთს, რომელსაც შეუძლია თანამედროვე ტექსტში კლასიკური ტექსტების პაროდირება კი არ ამოიკითხოს, არამედ ის, რაც ამის მიღმაა — კლასიკური ტექსტის ინტერპრეტაცია სრულიად ახალ მხატვრულ რეალობას ქმნის, განსხვავებული სათქმელის გამოხატვის საშუალებას აძლევს ავტორს.

## **MAIA CHOLADZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **Secularisation of Love in the German Tale of Chivalry and Its Transformation in Musical Romanticism (Gottfried von Strassburg - Richard Wagner: “Tristan and Isolde”)**

After outdated antic plots Celtic myths full of light fantasy and erotic became a new source of Middle Age poetic concept.

The development of the knightly culture at the end of XII century in Germany first revealed itself in the Lyrics of Chivalry and about a century later the German Tale of Chivalry appeared. According to the wide spread opinion the German Tale of Chivalry was either the translation of foreign texts or their interpreted version, while lyrics was distinguished by its original themes. However the unsurpassed skills of Gottfried von Strassburg raised the German Tale of Chivalry as high as von Vogelweide could achieve it in the German Lyrics of Chivalry.

The most famous plot of Brittany myths - the love between the Knight Tristan and his king's bride Izolde - got a new life in the work of the German master: unlike the medieval devilish conception of love this feeling is considered earthly and noble one giving a great strength to the lovers and protected by God. The author tries to criticize feudal traditions though not too radically.

The fatal saga of “Tristan and Isolde” exactly responded to Wagner's romantic aesthetics and composer's personal tragic love when in 1857 he began working on three – act musical drama.

In his non-traditional opera Wagner minimized the action and laid emphasis on the feelings of the characters. He even didn't avoid diversion from Stras-

sburg's text to achieve his aim. After sharing the fatal magic potion his characters couldn't live without each other and became strong and brave. They deliberately strove for the other world to find peace; hid from the day light preferring nights to enjoy each other's presence. Their striving for night implies their determination to die which reflects Arthur Schopenhauer's influence on Wagner. However "Tristan and Isolde" is an hymn (ode) to human thirst for love and not death.

## მანია ჭოლაძე

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### სიყვარულის სეკულარიზაცია გერმანულ სარაინდო რომანში და მისი ტრანსფორმაცია მუსიკალურ რომანტიზმში

(გოტფრიდ შტრასბურგელი — რიჰარდ ვაგნერი:  
„ტრისტანი და იზოლდე“)

მსუბუქი ფანტასტიკითა და ეროტიზმით გაჯერებული კელტური თქმულებები ამონურული ანტიკური სიუჟეტების შემდგომ ახალი სიცოცხლის წყარო გახდა შუა საუკუნეების პოეტური კონცეფციებისათვის.

მე-12 საუკუნის ბოლოს განვითარებული სარაინდო კულტურა გერმანიაში თავდაპირველად კურტუაზიულ ლირიკაში გამოიხატა და დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ გაჩნდა გერმანული სარაინდო რომანი. გავრცელებული აზრის თანახმად, გერმანული სარაინდო რომანები უცხოურის თარგმანს, ან გადაკეთებულ ვერსიებს წარმოადგენენ, მაშინ, როცა პოეზია თვითმყოფადი თემატიკით გამოირჩეოდა. თუმცა გოტფრიდ შტრასბურგელის მაღალი დონის ოსტატობამ პოეტიკის სფეროში გერმანული სარაინდო რომანი იმ სიმაღლეზე აიყვანა, რაც კურტუაზიულმა პოეზიამ ფოგელვაიდესთან ჰპოვა.

რაინდი ტრისტანისა და მეფის საცოლვე იზოლდეს სიყვარული, როგორც ბრეტონული მოთხრობების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემა გერმანელი ოსტატის ხელში ახალ სიცოცხლეს იძენს: მასთან სიყვარული შუა საუკუნეების ტრადიციული ეშმაკეული განმარტებებისაგან განსხვავებით, მინიერი, კეთილშობილური ადამიანური გრძნობაა, რომელიც საოცარ ძალას ჰმატებს შეყვარებულებს და ღმერთიც მათ მხარესაა. ავტორი ცდილობს გააკრიტიკოს ფეოდალური ტრადიციები, თუმცა არცთუ რადიკალურად.

საბედისწერო სიყვარულის საგა „ტრისტანსა და იზოლდეზე“ ზუსტად ეხმიანებოდა ვაგნერის რომანტიკულ ესთეტიკასაც და ფილოსოფოს-კომპოზიტორის პირად ტრაგიკულ სასიყვარული განწყობასაც, როცა 1857 წელს დაიწყო სამოქმედებიან მუსიკალურ დრამაზე მუშაობა.

ვაგნერმა მინიმუმამდე დაიყვანა თავის არატრადიციულ ოპერაში მოქმედება და აქცენტი გადაიტანა პერსონაჟთა განცდებზე. იგი არც შტრასბურგელის ტექსტიდან გადახვევას ერიდება საკუთარი მიზანდასახულობისათვის. მისი გმირები სიყვარულს საბედისწერო სასიკვდილო სამსალით ეზიარებიან და უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ, თანაც საოცრად გაბედულნი ხდებიან. ისინი გააზრებულად მიისწრაფვიან იმქვეყნიური სამყაროსაკენ, რათა იქ ჰპოვონ სიმშვიდე; დღის შუქს ემალებიან და ღამეს ეტრფიან, რათა მშვიდად დატკბნენ სიახლოვით. ღამისადმი ლტოლვა სიკვდილისადმი ლტოლვაა ვაგნერთან, რაც კარგად აჩვენებს მასზე შოპენჰაუერის ზეგავლენას. თუმცა „ტრისტანი და იზოლდე“ სიყვარულის ადამიანური წყურვილის და არა სიკვდილის ჰიმნია.

## **RUSUDAN CHOLKASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Interrelatedness of Deity of Tar- Young and “The Knight in the Panthers’ Skin”**

The oldest Georgian deity Tar-young, appears to be the the annual update of the universe (N. Abakelia), thus it could be realized as etymological prototype of the main hero of Shota Rustaveli “The Knight in the Panthers’ Skin”. The poem is based on the magic tale (M. Karbelashvili), the heroes of the poem are involved in the trivial world problems, they fall in love they struggle for their love and they marry as all the mortals, all these is peculiar for the mortal and dead risen deity.

The heroes of “The Knight in the Panthers’ Skin” search their fiancé in different countries, they try to make the mission given by bride’s father possible, they behave as heroes of magic tale. According to ancient faith the foreign visitor was dangerous for the aborigines. According to the ethnographic traditions to neutralize the visitor people used ancient traditions like inviting them to the feast and offering beautiful girls- simulating sexual ritual.

In the magic tale such meeting ends in a life and death struggle where the outcome is the death of one of the heroes. In “The Knight in the Panthers’ Skin”

content follows the line of magic tale where rivals dye: that's why Tariel without any meditation killed the son of Kvarazm King. It stimulated Avtandil killing the man whom had seen with Fatman this evoked the tale of the disappeared stranger knight. Avtandil, the fiancée of Arabia princess, was the very person who should find out the knight and their meeting ended in friendship.

## რუსუდან ჩოლოყაშვილი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ღვთაება ტარ-ჭაბუკისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის ურთიერთმიმართების შესახებ

ქართული უძველესი ღვთაება ტარ-ჭაბუკი, რომლის მთავარ ფუნქციასაც სამყაროს ყოველწლიური განახლება წარმოადგენდა (ნ. აბაკელია), თავისუფლად შეიძლება გავიაზროთ როგორც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის ეტიმოლოგიური საფუძველი. ეს ნაწარმოები ხომ ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურაზეა აგებული (მ. კარბელაშვილი), რომლის მთავარი გმირებიც ურთიერთ შეყვრით, განშორებითა და საბოლოო შეუღლებით იმ მძიმე გზას გადიან, რაც ნიშანდობლივი იყო ამ ქვეყანასა და „იმ“ ქვეყანას შორის მიმომსვლელი მოკვდავი და მკვდრებით აღმდგომი ღვთაებისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც ხომ სხვადასხვა ქვეყნებში გადადიან საცოლის საძებნელად ან საცოლის (საცოლის მამის) დავალების შესასრულებლად ჯადოსნური ზღაპრის გმირების მსგავსად. უძველესი რწმენით კი, სხვა ქვეყანაში მისული, უცხო საშიში იყო დამხვდურისათვის. ეთნოგრაფიული ტრადიციით მისი გაუვნებლობა სუფრასთან მიწვევის გარდა ქალის შეთავაზებითაც უნდა მომხდარიყო (ი. სურგულაძე). მაგალითად, საქართველოში ეს იყო სწორფრობის — სქესობრივი ურთიერთობის სიმულაციის რიტუალი.

ჯადოსნურ ზღაპარში კი ეს შეხვედრა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით და ერთ-ერთის სიკვდილით მთავრდება. „ვეფხისტყაოსანშიც“ ზღაპრის მსგავსად განიგმირებიან ურთიერთ მეტოქეები: ამიტომ დაუხანებლად გამოასალმა სიცოცხლეს ტარიელმა მომხდური ხვარაზმის ხელმწიფის შვილი; ამიტომ მოკლა ავთანდილმა ფატიმანთან ნანახი კაცი და ამიტომვე შეიქმნა დიდი ამბავი პოემის დასაწყისში უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული უცხო მოყმის გამო. ამავე მიზეზით, სწორედ ავთანდილს, არაბეთის ხელმწიფე — ქალის საქმროს, უნდა გაერკვია ურთიერთობა ტარიელთან, რაც მათი შერიგებით დასრულდა.

**ILONA ČIUŽAUSKAITĖ**

*Lithuania, Vilnius*

*Institute of Lithuanian Literature and Folklore*

### **Traces of Medieval Culture in the Translations of Sigitas Geda**

The traces of genres and motifs of various shapes of reception of medieval culture in the creation of quite many Lithuanian writers could be distinguished. One of them is the famous modern Lithuanian poet, Sigitas Geda (1943–2008) and his translations (translated by J. Bobrovskis, J. Brodskis, G. Traklis, M. Cvetajeva, F. Garcia Lorcos, Cz. Miloszo, Latvian, Georgian, Armenian, ancient Greek, Egyptian, Japanese poetry; “The Psalm of Psalms”, “The Book of Psalms” were published in separate books, as well as François Villon’s “Selective Poetry“, etc.). Besides the many aforementioned works, one should pay attention to the work of Grigoro Narekaci “Books of Grievous Chants” (published in 1999), translated by S. Geda. In a lyrical mystical poem of a famous poet G. Narekaci of the 10-11<sup>th</sup> century, in the form of monologues there are very forcibly depicted various psychological states, religious experiences, philosophical thoughts, there are plenty of the topicalities of societal life of Armenia of the day as well as domestic details. The poem is attributed to the masterpieces of the world literature, and it has been translated into many languages. Millenary Armenian book, almost equal to scripture, returns consciousness to the middle Ages and constantly reminds of the present: what we perceive is the present, our time of living. The article analyzes the problem of what reflections of medieval culture were moved into the Lithuanian translation of the work by Narekaci, what features of medieval emotional attitude and poetics were proved to be kept, and when insensibly there emerge the features of Lithuanian folklore emotional attitude and language stylistics. The work is based on the studies of V. Daujotyė, V. Kubilius, K. Nastopka, R. Šilbajoris, S. Valentas, R. Bartes, etc., comparative methodology is used.

**NINO DOLIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **“Tbilissian Maqāma” Al-Harīrī**

*Maqāmat*, which has no analogues in the western literary works, ranks high among the oriental literary genres of the middle Ages. *Maqāma* is a short story about a fictional hero recounted by a narrator. The medieval Arabic literature never boasted any similar literary prose genres, since the artistry, fiction were interpreted by a reader as an illusion.

*Innovation of the Arabic Maqāmāt*, which originated in the X century, lied in the fact that the authors themselves stated in the introduction that the characters (and, relevantly, the narrated story as well) were fictional. This was a successful attempt to create an artistic reality at the time, when the official ideology of the reigning normative poetic style strictly prohibited any kind of innovation. *Maqāmāt* have immediately gained great popularity and reached *the highest point of their* development at the turn of the XI-XII centuries, in the creative works of *al-Hariri of Basra*.

*This time we shall dwell on al-Hariri’s “Tbilissian Maqāma”*, as a classical example of the Arabic canonical literature. Despite these new developments, the literary canon left its marked effect on “*Tbilisi Maqāma*” (that is expressed in the standard beginning and the standard end of this literary work, in the peculiar development of actions, in conditional character of situations, in absence of disclosure of a plot and in lack of either statistical situations, portraits and landscapes, or time and space, etc.). The author does not describe the city, but the fact that among fifty *Maqāmāt*, the sequence of which is not accidental actually (to say nothing of solid, meaning-bearing composition and structure of the work), the 33<sup>rd</sup> *Maqāma* is “Tbilissian”, is not insignificant. The main characters are coming to Tbilisi, which represents one of the cultural centers of that time (along with Shiraz, Tabriz, Samarqand, Marawi and others). Action takes place in Tbilisi.

“*Tbilissian Maqāma*” represents an example of one of the significant genres of the Arabic literature of the middle Ages, the area of application was rather wide and covered the territory beginning with Spain and ending with India. *Maqāmāt* by al-Hariri became the most popular after the Koran. That is approved by a great number of manuscripts. One of these manuscripts, which is dated *back to the XIII century* and is kept at the Museum of the Oriental Studies of the Saint Petersburg Academy of Sciences, includes the illustration of the “*Tbilissian Maqāma*”, which shows the Tbilisi mosque.



## ნინო დოლიძე

*საქართველო, თბილისი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ალ-ჰარირის „თბილისური მაკამა“

შუა საუკუნეების აღმოსავლურ ლიტერატურულ ჟანრებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მაკამებს, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება დასავლურ მწერლობაში. მაკამა მოკლე მოთხრობაა გამოგონილ გმირზე, რომლის შესახებ მოთხრობელი ჰყვება. შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურა არ ყოფილა განებივრებული მსგავსი მხატვრული პროზაული ჟანრებით, რადგან მხატვრულობა, ფიქცია მკითხველის მოტყუებად აღიქმებოდა.

X ს-ში წარმოშობილი არაბული მაკამების ინოვაციურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ავტორები ნაწარმოების შესავალში თავად აცხადებდნენ — პერსონაჟები (და შესაბამისად, მოთხრობილი ამბავიც) გამოგონილიაო. ეს იყო მხატვრული რეალობის შექმნის წარმატებული მცდელობა მაშინ, როდესაც გაბატონებული ნორმატიული პოეტიკის ოფიციალური იდეოლოგია ყოველგვარ ინოვაციას სასტიკად კრძალავდა. მაკამებმა იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა, თუმცა თავისი განვითარების მწვერვალს XI-XII სს-ის მიჯნაზე მოღვაწე ბასრელი ლიტერატორის ალ-ჰარირის შემოქმედებაში მიანიწ.

ამჯერად შევჩერდებით ალ-ჰარირის „თბილისურ მაკამაზე“, როგორც არაბული კანონიკური ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშზე. ინოვაციურობის მიუხედავად, ლიტერატურულმა კანონმა „თბილისურ მაკამასაც“ დაასვა დალი (რაც გამოიხატება ნაწარმოების სტანდარტულ დასაწყისსა და დაბოლოებაში, მოქმედებათა ერთგვაროვან განვითარებაში, სიტუაციათა პირობითობაში, სიუჟეტური წარმოსახვის გავრცობისა თუ სტატიკური სიტუაციების, პორტრეტებისა თუ პეიზაჟების, დროსა თუ სივრცის არარსებობაში და სხვ.). ავტორი არ აღწერს ქალაქს, მაგრამ ის, რომ ალ-ჰარირის ორმოცდაათ მაკამაში, რომელთა თანმიმდევრობაც კი არ არის შემთხვევითი (რომ აღარაფერი ვთქვათ ნაწარმოების მყარ, გააზრებულ კომპოზიციასა და სტრუქტურაზე) 33-ე მაკამა „თბილისურია“, უმნიშვნელო ფაქტი არ უნდა იყოს. მთავარი პერსონაჟები ჩამოდიან თბილისში, როგორც იმდროინდელ ერთ-ერთ კულტურულ ცენტრში (შირაზის, თავრიზის, სამარყანდის, მარავის და სხვათა გვერდით). მოქმედება თბილისში ვითარდება.

„თბილისური მაკამა“ წარმოადგენს შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ჟანრის ნიმუშს, რომლის

გავრცელების არეალი საკმაოდ ფართო იყო ესპანეთიდან მოყოლებული ინდოეთის ჩათვლით. ალ-ჰარირის მაკამები ყურანის შემდეგ უპოპულარულესი საკითხავი გახდა. ამაზე მეტყველებს ხელნაწერთა სიმრავლეც. ერთ-ერთ, XIII ს-ით დათარიღებულ ხელნაწერში, რომელიც სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, არის „თბილისური მაკამის“ ილუსტრაცია. მინიატურაზე ასახულია თბილისის მეჩეთი.

## **KETEVAN ELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Lash of Tariel – the Symbol of Power**

Beyond the essence of sacred symbols of power has always been hushed up the aspect of super power (it could be manifested as the royal crown or the icon of “sky miracle” , sometimes it could be the sceptre risen from biblical crozier or the “asented ” lash of Egyptian Pharaoh), it gains particular significance in particular power and authority realm. This phenomenon is originally manifested in “The Knight in the Panthers’ Skin”, power symbols are depicted in original ways in the poem. They are seemed to be lost in dramatic peripetias.

Hand-forged lash owned by the legal heir of Indian throne Tariel appeared to be one of the main symbols of power turned up to be forgotten behind the primary emotions, the lash was used in a very unusual and strange period; He used the lash only while slaughtering the slaves of Rostevan for taking “Kaeti” fort.

Medieval outlook about the knights violent acts, cruelty or ruthlessness were perceived as a manifestation of brave and strong deeds, furthermore it was considered to be the super-power (according to Chretien de Troies; “if might, then right”). Lash is the main symbol of power even missing the other symbols of kingdom .

The lash as the symbol of ancient power illustrates Tariel as a King , according to the Christian symbolism lash is associated with the “Calvary way”....

Lash as a symbol of power is manifested in “The Knight in the Panther’s Skin” as a key essence of the poem.

## ქეთევან ელაშვილი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ტარიელის მათრახი — ვითარცა ძალაუფლების სიმბოლო

ძალაუფლების სიმბოლოთა საკრალურ ძალა-უფლებრივ არსს მიღმა ყოველთვის დამაინტერესებელია ყოველსმპყობელობის საბედისწერო ასპექტიც (იქნება ეს მზიურ წნულთა სადარი გვირგვინი თუ ხატი „ციხის სვეტთა“ სამეფო ტახტის სახით, ანდა თუნდაც ბიბლიურ კვერთხთაგან ამოზრდილი სკიპტრა და, რაღა თქმა უნდა, ძველ ეგვიპტეში ფარაონთა მიერ „ამაღლებული“ მათრახი...), რომელიც კონკრეტულ სახელისუფლო სივრცეში სრულიად განსხვავებულ დატვირთვას იძენს. ეს ფენომენი მეტად ორიგინალურ ასახვას ჰპოვებს სწორედ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც სახელისუფლებო სიმბოლოების მეტად თავისუფალი, თუმცაღა ფრიად ორიგინალური მოწოდების ტენდენციები იკვეთება. ისინი თითქოსდა ჩაკარგულია დრამატული პერიპეტეების წიაღში.

სწორედ ამგვარადვეა პირველადი ემოციების მიღმა მივიწყებული ერთ-ერთი სახელისუფლო სიმბოლო — „ხელით ნაჭედი“ მათრახი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანში“ ინდოეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ტარიელი ფლობს და მხოლოდღა, ფრიად უჩვეულო და უცხო ვითარების ჟამს იყენებს; არაბეთის მეფის როსტევეანის მონათა შემუსვრისას, ხატაელ ძმათა გზად გადაყრისას და ქაჯეთის ციხის დამხობისას.

არადა, შუასაუკუნეობრივი თვალთახედვისთვის, რაინდთა ძალის-მიერი ქმედებანი არასოდეს აღიქმებოდა, როგორც სისასტიკე თუ დაუნდობლობა, არამედ ითვლებოდა ვაჟკაცური ზნის ერთგვარ გამოვლინებად და, უფრო მეტიც, იკვეთებოდა ძალის უზენაესობაც (კრეტიენ დე ტრუას სარაინდო რომანის მსოფლმხედველობრივი თეზა: „სადაც ძალაა, იქ კანონია“). ასევეა უცხო მოყმედ გარდასახულ ინდოეთის მეფის შემთხვევაშიც, რომელიც სამეფო რეგალიებს ჩამოშორებული, მხოლოდღა „მკლავის უსხო“ მათრახსღა ფლობს, როგორც სხვა რაინდთაგან სამეფო წარმომავლობით გამოჩეული.

მათრახის ამ უძველესი ძალაუფლების სიმბოლოს ტარიელის, როგორც მეფის ილუსტრირებისას, ავტორი ერთ გარემოებასაც ითვალისწინებს; ტარიელს მათრახი უპყვრია, სანამ არ მოხდება მისი ინდოეთის სამეფო ტახტზე აღსვლა, რადგან ქრისტიანული სახისმეტყველებით მათრახი — „გოლგოთის გზასაც“ განასახიერებს...

მათრახის, ვითარცა ძალაუფლების სიმბოლოს, „მხატვრული ფლობის ველი“ ფრიად უჩვეულოა „ვეფხისტყაოსანში“ და ძეგლის სიღრმისეულ შრეში შეღწევის ერთ-ერთ გასაღებსაც კი წარმოადგენს.

**ELBAKIDZE MAKI, IRMA RATIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Honour and Honesty: The Heroic Ideal in Medieval Courtly Romance**

The core element connected to the perfection of a hero in the medieval courtly romance is moral perfection. Accordingly, the moral and ethical beliefs, in the west European heroic culture, are based on such moral virtues, like: courage, loyalty, charity, prudence, courtesy and striving for gaining honour. In the feudal society, where honour and honesty are the main social virtues, the moral values of the Knights are founded on humanistic ideals (to protect the weak, defenseless, helpless, and fight for the general welfare of all, charity), which along with chivalrous virtues (mercy of the defeated foe, equal fight, etc.) is the basic principal in the formation of a harmonic personality. Naturally, Christian religion, which teaches to love one's neighbor, devotion and doing good deed, played an important role in the forming of the categorization of the moral principles of an ideal knight. At the same time, the desired or compulsory complex of virtues, which creates the ideal of Christian moral, is densely connected with Aristotelian-Stoic ethics.

From this point of view the ethic system of the medieval courtly romance is immensely instructed by stoic views, whose peculiar interpretation we come across in an essay by Marcus Tullius Cicero *On Duties (De Officiis)*. According to Cicero, four main virtues exist, which define the moral perfection of a human being. These virtues are the following: 1. Cognition of truth (cognito); 2. Honesty and Charity (iustitia da beneficentia); 3. Magnificence of spirit (magnitudo animi); 4. Modesty (decorum). Out of these virtues are derived the concrete practical duties, which are acceptable for everybody (will it be the dwellers of the roman republic or medieval knights) and name and dignity are the two main virtues.

From this standpoint, the tendencies characteristic to medieval European civilization and the ethic system offered by Shota Rustaveli, are not different at all. This could be explained by two main reasons: First of all, they both share

the same religion, Christianity, and the second the public and political structure, the ideological background that emerged in the feudal society, proclaiming to fulfill the social or moral obligations that humans have.

The ethic perfection, pure and uncompromised moral nature of the main character, is a core principal for Shota Rustaveli. That is, the fully understanding of duties and absolute fairness. The moral behavior of the characters is directed by clear emotional background (love of a friend). This at the same time is well-grounded in the work. Dignity in ‘The knight in the Panther’s skin’ is the fate of a distinct, ‘wise’, or so to say an ideal human. Their reason and intelligence pushes them to behave worthy. This point of view finds resemblance with Cicero’s ideology, according to which ‘Honesty, which we seek in a lofty and magnanimous soul is brought about only by strength of the mind, not of the body’.

The ideal character of Shota Rustaveli cannot compromise, even in cases of fear, because the uselessness of fear has its explanation in ‘The knight in the Panther’s skin’: Fate drives human destiny and nobody can run away from death, so humans should meet danger with dignity, because unworthy live is worse than dying valiantly. This is the Heroic Ideal of Georgian Courtly Romance, which although shares similarities with medieval west European ideals of a human, but stands near to the ethic ideas of the Renaissance epoch.

## **მაკა ელბაძიძე, ირმა რატიანი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ღირსება და სახელო: შუასაუკუნეების რაინდული რომანის ჰეროიკული იდეალი**

შუასაუკუნეების რაინდული რომანის იდეალური გმირის სრულყოფის ყველაზე არსებით ელემენტს მორალური სრულყოფა შეადგენს, შესაბამისად, დასავლეთ ევროპის სარაინდო კულტურის მორალურ-ეთიკური წარმოდგენები ემყარება ისეთ ზნეობრივ სათნოებებს, როგორებიცაა: სიმამაცე, ერთგულება, სიუხვე, კეთილგონიერება, კურთუაზულობა და სწრაფვა ღირსეული სახელის მოსახვეჭად. ფეოდალურ საზოგადოებაში, რომელშიც ღირსება და სახელი უმთავრეს სოციალურ სათნოებებადაა აღიარებული, რაინდთა წრის მორალური ფასეულობანი ემყარება გარკვეულ ჰუმანისტურ იდეალებს (გაჭირვებაში ჩავარდნილთა დახმარება, ქველმოქმედება), რომლებიც წმიდა სარაინდო ზნეობებთან ერთად (ძლეული მტრის დანდობა, უსწორო იარაღით არ შებმა და სხვ.) ჰარმონიული პიროვნების ფორმირების სა-

ფუძველია. ბუნებრივია, სარაინდო იდეალის მორალურ კატეგორიათა ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც მორწმუნეს მოყვასის სიყვარულის, მისთვის თავის არ დაზოგვის და კეთილი, ქველი საქმით უფლისადმი სამსახურისკენ მოუწოდებს. იმავდროულად, ადამიანისთვის სასურველ თუ სავალდებულო სათნოებათა კომპლექსი, რომელიც, იმავდროულად, ქრისტიანობის ზნეობრივი იდეალია, მჭიდროდაა დაკავშირებული ანტიკურ (არისტოტელურ-სტოიკურ) ეთიკასთან.

ამ თვალსაზრისით შუასაუკუნეების რომანის ეთიკური სისტემა ყველაზე მეტად დავალებულია სტოიკოსთა შეხედულებებისაგან, რომელთა თავისებურ ინტერპრეტაციასაც ვაწყდებით ციცერონის ტრაქტატში *მოვალეობათა შესახებ (De Officiis)*. ციცერონის აზრით, არსებობს ოთხი უმთავრესი სათნოება, რომლებიც განაპირობებს ადამიანის მორალურ სრულყოფას. ესენია: 1. ჭეშმარიტების შემეცნება (cognitio); 2. samarTlianoba da qvelmoqmedeba (iustitia da beneficentia); 3. სულის სიმაღლე (magnitudo animi); 4. წესიერება (დეცორუმ). ამ სათნოებათაგან გამომდინარეობს კონკრეტული პრაქტიკული მოვალეობები, რომლებიც ერთნაირად მისაღები და გასათვალისწინებელია ყველა იმ საზოგადოებისათვის (იქნება ეს რომის რესპუბლიკის მოქალაქენი თუ შუასაუკუნეების რაინდები), რომელშიც სახელი და ღირსება უმთავრეს სათნოებებადაა მიჩნეული.

ამ თვალსაზრისით შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ ტენდენციებსა და რუსთველის ეთიკურ სისტემას შორის განსხვავება, ფაქტიურად, არც არსებობს, რაც ორი ძირითადი მიზეზით შეიძლება აიხსნას: პირველ ყოვლისა, ესაა საერთო რელიგია, ქრისტიანობა, და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, კერძოდ, ფეოდალური სამყაროს წიაღში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური ფონი, რომელიც ადამიანს გარკვეული სოციალური და მორალური ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს.

რუსთველისათვის ეთიკური სრულყოფა, ანუ წმინდა და უკომპრომისო მორალი მთავარი გმირის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მახასიათებელია. ესაა სრულიად უკომპრომისო ვალდებულების შეგნება და უკომპრომისო სამართლიანობა. გმირების მორალურ ქცევას რომანში გარკვეული ემოციური ფონი (მოყვასის სიყვარული) წარმართავს, მაგრამ, იმავდროულად, ამას თავისი მსოფლმხედველობრივი დასაბუთებაც აქვს. ღირსება *ვეფხისტყაოსანში* გამორჩეული, „ბრძენი“, ანუ იდეალური ადამიანების ხვედრია. ღირსეული ქცევისკენ მათ თავიანთი გონება, ინტელექტი უბიძგებთ. ეს თვალსაზრისი საკმარის მსგავსებას ამჟღავნებს ციცერონის შეხედულებასთან, რომლის მი-

ხედვითაც, „ღირსება ამაღლებული და კეთილშობილი სულის ხვედრია, რომელიც ადამიანს ენიჭება არა ფიზიკური, არამედ გონებრივი ძალის წყალობით“. რუსთველის იდეალური გმირი ვერ დაუშვებს ზნეობრივ კომპრომისს, თუნდაც, შიშის მდაბალი გრძნობის კარნახით, ვინაიდან შიშის უსარგებლობასაც კი *ვეფხისტყაოსანში* მსოფლმხედველობრივი დასაბუთება აქვს: განგება ადამიანის ბედს თავისი გარდაუვალი ნებით წარმართავს, ხორციელს სიკვდილი მაინც არ ასცდება, შესაბამისად, ადამიანი ღირსეულად უნდა შეხვდეს განსაცდელს, რადგან ნაზრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობია. ესაა ქართული სარაინდო რომანის ჰეროიკული იდეალი, რომელიც, გვიანდელი შუსაუკუნეების დასავლეთ ევროპის ადამიანის იდეალთან საკმაოდ მსგავსების მიუხედავად, რენესანსის ეპოქის ეთიკურ წარმოდგენებს უახლოვდება.

## **MOHAMMAD EXIR**

*Bushehr, Iran*

*Islamic Azad University, Bushehr Branch*

### **Medieval Travelogues Genre Impact on Swift' *Gulliver's Travels* and Twain's *Roughing It*: A Comparative Study from a Satirical Outlook**

Travel literature genre or travelogue is a common genre in medieval Arabic literature. It records the experiences of an author traveling to a place for the pleasure of travel. *Gulliver's Travels* is a novel by Jonathan Swift which is a satire on human nature and also travelers' tales of literary genre. In this novel, satire is exposed in the course of its setting, narration, plot, and character. He employs utopia and dystopia as a setting, flat, and tyrant type of character and grotesque to show factors of the satirical novel. Entertainment throughout satire in this novel is the main aim Swift has in mind. This novel has many examples of life in the Reformation period and even reflects some current and universal issues in today's world. *Roughing It* written by American humorist Mark Twain is a book of 'semi-autobiographical' travelogue. This book shows the travels of young Mark Twain through the Wild West during the years 1861–1867. Mark Twain uses his own experiences of a stagecoach journey across the American West to criticize the local characters and satirize life on the frontier and also the examples of Twain's rough humor can be seen throughout the book. So, medieval travelogue genre has been employed in these two books at the service of social and political satire. This study considers some of the authors' inten-

tions socially and politically by employing satire in setting, narration, plot, and character in these two books.

## **JULIETA GABODZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Ideological and Artistic Transformation in Akaki Tsereteli's and Galaktion Tabidze's Creative Work**

According to Akaki Tsereteli's and Galaktion Tabidze's creative work Shota Rustaveli holds a special place in the formation and afterwards in development of Georgian Identity.

In the research material from the archives of Akaki Tsereteli and Galaktion Tabidze is being used, including some of the unpublished publicist letters by Akaki Tsereteli.

A special attention is paid to 'The knight in the panther's skin' and the influence or transformation it has on Akaki's and Galaktion's works.

The characters of the poem gained a new allegoric-artistic function in Akaki's work. **Nestan**, who is imprisoned by the dare-devils, in Akaki's work became an allegory of **Homeland**, while **Tariel, Pridon and Avtandil – its savior heroes. Dare-devils** are an allegory of foe.

Akaki transformed the wise saying by Shota Rustaveli into a new poetical image '**The foe, who seems as a friend at first, is worst than other enemies**', for Akaki it became an allegory of the homeland's foe.

**Galaktion Tabidze's** work is also full of the images and symbols, allusions, reminiscences from Shota Rustaveli's work.

Noteworthy is the collection of verses 'Gold in the Azure of Adjara', which was published in 1944 in Batumi. It should be noted that the creation of this collection was thought over earlier. It happened on a summer vacation, when Galaktion was at sea with Olia Okudjava. The 75 verses in the collection have as an epigraph some quotes from Shota Rustaveli's 'The knight in the panther's skin', by which the author says or tries to say the main idea, which is disguised. It was an excellent form of saying something that was prohibited under the soviet censorship. One of the dignities of this collection, as Galaktion Tabidze put it was, that: He made a cycle of verses about sea, and thus filled up the emptiness, which was present in Georgian Poetry since Shota Rustaveli.



## ჯულიეტა ბაპოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### **„ვეფხისტყაოსნის“ იდეური და მხატვრულ-სახეობრივი ტრანსფორმაცია აკაკისა და გალაკტიონის შემოქმედებაში**

აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მიხედვით რუსთაველს სრულიად გამორჩეული ღვანლი მიუძღვის ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში.

კვლევაში გამოყენებულია აკაკისა და გალაკტიონის საარქივო მასალები, მათ შორის, აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელი წერილები.

ასევე განსაკუთრებულია „ვეფხისტყაოსნის“ იდეური, მხატვრულ-სახეობრივი გავლენა და მათი ტრანსფორმაცია აკაკისა და გალაკტიონის შემოქმედებაში.

პოემის პერსონაჟებმა კონკრეტული ალეგორიულ-მხატვრული ფუნქცია შეიძინეს აკაკის შემოქმედებაში. ქაჯების ტყვეობაში მყოფი **ნესტანი** აკაკის შემოქმედებაში **სამშობლოს** მყარ ალეგორიულ ხატად იქცა, ხოლო **ტარიელი**, **ფრიდონი** და **ავთანდილი** — მის **მხსნელ გმირთა სახეებად**. **ქაჯები** კი მტრის ალეგორია.

აკაკიმ რუსთაველისეული სიბრძნე — „**მოყვარე-მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია**“ — ახალ პოეტურ სახედ — **ქვეყნის მტრის ალეგორიად** წარმოადგინა.

**გალაკტიონის** შემოქმედება ასევე გაჯერებულია რუსთაველური სახე-სიმბოლოებით, ალუზიებითა, რემინისცენციებითა თუ ტროპული მეტყველების ნიმუშებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ლექსების კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, რომელიც 1944 წელს გამოიცა ბათუმში, თუმცა მისი შექმნის იდეა გაცილებით ადრე, ოლია ოკუფაციასთან ზღვაზე ყოფნის დროს, დაებადა პოეტს. წიგნში მოთავსებულ 75 ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტაყები, ან სტროფები, რომელთა მეშვეობითაც გამოკვეთილია ავტორის მთავარი სათქმელი, გალაკტიონმა ლექსების იდეის შესანიღბად მშვენიერ პოეტურ მეთოდს მიაგნო. საგულისშობა, კრებულის სტრუქტურული წყობა, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს იმეორებს.

ამ კრებულის ღირსება ისიცაა, რომ როგორც გალაკტიონს ამბობდა: მან შექმნა ლექსების ციკლი ზღვაზე და ამით ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც არსებობდა ქართულ პოეზიაში რუსთაველის შემდეგ.

**LELA GABRIELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

### **Naming the Symbols Expressing Evil (The Symbol of Whale in Biblical Books and ‘Life of David Garejeli’)**

Symbolic of a whale is interestingly reflected in “Life of David Garejeli.” As in all hagiographical texts, the whale is a symbol of evil. Its name is noteworthy: once it is named as whale and a little lower as worm.

It is known that “worm” together with whale and snake create the same semantic category both in Christian literature and folklore.

Sulkhan-Saba describes whale as water creature, but indicates – “Gvelve-shapi” (Dragon); the same we see in the Bible.

In symbology Leviathan is described as water monster and it is indicated that it is one of the names of whale. In Jewish term “liviatan” meant all water monsters. One of English engravings of the XII century showed Leviathan as a horned snake. It appeared that it one of the types of whale, but also a reptile – the horned snake.

Nature has species of horned snakes, although they are not related to water; conversely they are desert inhabitants. We should also remember that the Satan threatened Saint Fathers right with horned snakes. It is noteworthy that in the text the horned snake is separated from reptiles. Maybe this creature is right that horrible whale with a horn? It is unlikely as in all other texts we see the whale and not a snake. Although we believe that these two creatures have been associated with each other right by the given external sign and we have the fantastic creature – **Gvel-Veshapi** (Whale-Snake (dragon) which can also be seen at wall paintings and David Garejeli’s icon. The whale shown on the fresco has an enormous face of a horned snake and at David Garejeli’s icon it is shown as a horned and front-legged monster. Such a change took place in a later period, which allegedly is the affect of western culture.

In ‘The Life of David Garejeli’ whale symbolic is based on Biblical background. Research has shown that evil expressing symbols reflected in the text (whale, snake, worm) are identical. In Georgian fairytales and folk legends these horrible creatures transform into the Gvelveshapi (dragon), which at the end is always defeated by the Good.



„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ვეშაპის სიმბოლიკა ბიბლიურ საფუძველს ემყარება. კვლევამ ცხადყო, რომ ტექსტში ბოროტების გამომხატველი სიმბოლოები (ვეშაპი, გველი, ჭია) იდენტური მნიშვნელობისანი არიან. ეს შემზარავი არსება ზღაპრებსა და ხალხურ თქმებში გველუშაპად გარდაისახება, რომელიც საბოლოო ჯამში აუცილებლად მარცხდება სიკეთით.

## **NUGESHA GAGNIDZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **Georgian and German Epic Poems**

#### **(“The Knight in the Panther’s Skin” and “The Song of the Nibelungs”)**

“The Knight in the Panther’s Skin” (the end of XII century or beginning of XIII century) and “The Song of the Nibelungs” (beginning of XIII century) are Georgian and German people’s greatest literary works of the Middle Ages which represent their cultural wealth, problems of the epoch and the main tendencies of Eastern and Western cultures.

For centuries readers have been attracted by the plots and literary forms of Shota Rustaveli’s and unknown Spielmann’s novels expressed in verses. The comparative analysis of these two works gives us opportunity to get to know and to learn different moral values of Georgian and German epic poems.

The research of the sources of “The Knight in the Panther’s Skin” and “The Song of the Nibelungs” plots and the analysis of their artistic images show the difference between Western and Eastern cultures and the two countries social, political and economic conditions which made for the development of highly artistic national literature. The close study of Georgian and German epic poems reveals the traditions and customs of two cultures being transformed and interpreted in them, shows the difference of the institutions of knights, their priorities and specific peculiarities. Besides the plot and structure one of the most important aspects of two poems is their literary language due to it they become up-to-date in every epoch.

The research of German translation of “The Knight in the Panther’s Skin” and Georgian translation of “The Song of the Nibelungs” shows to what extent the idea of the epics, their stylistic and artistic peculiarities are preserved and how deeply the foreign reader can learn to apprehend them.

## ნუგეზა ბაგნიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ქართული და გერმანული საგმირო ეპოსი („ვეფხისტყაოსანი“ და „სიმღერა ნიბელუნგებზე“)

„ვეფხისტყაოსანი“ (XII ს. ბოლო ან XIII ს. დასაწყისი) და „სიმღერა ნიბელუნგებზე“ (XIII ს. დასაწყისი) ქართველი და გერმანელი ერების შუა საუკუნეების კულტურის უდიდესი ლიტერატურული ძეგლებია, რომლებშიც წარმოჩენილია მათი სულიერი ფასეულობები, ეპოქის პრობლემური საკითხები და დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა ძირითადი ტენდენციები.

შოთა რუსთაველის პოემა და უცნობი შპილმანის გალექსილი რომანი საუკუნეთა განმავლობაში მკითხველს ხიბლავს როგორც შინაარსით, ასევე მხატვრული ფორმით. მათი შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ნათლად დავინახოთ ის არსებითად განსხვავებული მორალური ფასეულობები, რაც მსგავს ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებზე აგებულ ქართულ და გერმანულ საგმირო-სარაინდო ნაწარმოებებს ახასიათებს.

„ვეფხისტყაოსანისა“ და ნიბელუნგებზე სიმღერის სუჟეტური ნყაროების კვლევა და მხატვრულ სახეთა ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვიკვლიოთ დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროთა და კონკრეტული ქვეყნების სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა როგორც ბაზისი მაღალმხატვრული ეროვნული ლიტერატურის შექმნისათვის; შევაფასოთ ადრეული შუა საუკუნეების დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და ადათ-წესები, ტრანსფორმირებული და ინტერპრეტირებული ქართულ და გერმანულ საგმირო ეპოსში; წარმოვაჩინოთ და შევადაროთ რაინდობის ინსტიტუტის პრიორიტეტები და სპეციფიკური თავისებურებები ევროპასა და აღმოსავლეთში, გერმანიასა და საქართველოში. ამ ნაწარმოებთა სიუჟეტურ და იდეურ-კომპოზიციურ თავისებურებებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ მხატვრულ ქსოვილსა და ენას, რამაც განაპირობა ის, რომ მათ აქტუალობა არ დაუკარგავთ არც ერთ ეპოქაში.

„ვეფხისტყაოსანის“ გერმანული თარგმანებისა და ნიბელუნგებზე სიმღერის ქართული ვერსიის კვლევა გვიჩვენებს, თუ რამდენად არის შენარჩუნებული ორიგინალისათვის დამახასიათებელი იდეური, მხატვრული და სტილური თავისებურებები მათში და რამდენად ეძლევა შესაძლებლობა უცხოელ მკითხველს, სწორად გაიგოს ორიგინალის პრობლემეტიკა თარგმნილი ნაწარმოების მეშვეობით.

**DAREJAN GARDAVADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **Udhri Love Concept and "The Knight in the Panther's Skin"**

The quest for the oriental parallels in "The Knight in the Panther's Skin" figures prominently in the Rustvelology and represents also a subject of great debates and controversy.

From this point of view rather interesting are – the structural analysis of the plot of "The Knight in the Panther's Skin" and, on the one hand, the attempt of identifying the composition of "The Knight in the Panther's Skin" with the fairy tale's invariant, the model "Loss-Search-Finding" of which, through the modification of the structure of realized fairy tale's formula, for certain reasons, is considered to be the basis of the composition of "The Knight in the Panther's Skin"; and, on the other hand, the parallels between the Rustavelian love and the Udhri love, risen in the bowels of the *medieval Hijaz* Arab Bedouins' life in the Arabian Peninsula, Tariel's likeness with an Udhrian poet-lover on a certain level; ascertainment of diversity between these two schemes from typological point of view, despite the similarity of appearance and common attributes (as opposed to the model "Loss-Search-Finding" there is a model of Udhri love concept "Falling in love – fatal and eternal separation – death from love").

Evidently, we can't escape the fact that there was a common fund of literary figurative means, which in the Middle Ages nourished all more or less valuable literary works, to say nothing of evidence that the system of values of "The Knight in the Panther's Skin" is different and is comparatively more than only a plot, which occupies a relatively modest place in this system of values.

### **დარეჯან გარდავაძე**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **უზრიული სიყვარულის კონცეფცია და „ვეფხისტყაოსანი“**

„ვეფხისტყაოსანში“ აღმოსავლური პარალელების ძიებას რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა და დიდი დავისა და პოლემიკის საგანიც გახლავთ.

ამ კუთხით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სტრუქტურული ანალიზი და ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტთან იდენტიფიცირების მცდელობა, რომლის მოდელი „დაკარგვა — ძებნა — პოვნა“, რეალიზებული ჯადოსნური ზღაპრის ფორმულის სტრუქტურის მოდიფიკაციით, ერთი მოსაზრებით მიიჩნევა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კომპოზიციის საფუძვლად; მეორე მხრივ კი რუსთველური მიჯნურობის პარალელები არაბეთის ნახევარკუნძულზე, შუა საუკუნეების ჰიჯაზის არაბული ბედუინური ყოფის ნიაღში აღმოცენებულ უზრიულ სიყვარულთან, ტარიელის გარკვეულ დონეზე მსგავსება უზრიელ პოეტ-მიჯნურთან; გარეგნული მსგავსების და საერთო ატრიბუტიკის მიუხედავად, ტიპოლოგიურად ამ ორი სქემის სხვადასხვაობის დადგენა („დაკარგვა — ძებნა — პოვნის“ საპირისპიროდ, უზრიული სიყვარულის კონცეფციით ნასაზრდოები „შეყვარება — საბედისწერო და სამარადისო განშორება — სიყვარულით სიკვდილი“).

როგორც ჩანს, ვერსად წავუვალთ იმ ფაქტს, რომ არსებობდა მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა რაღაც საერთო ფონდი, რომელიც შუა საუკუნეებში კვებავდა ყველა მეტ-ნაკლებად ფასეულ მხატვრულ ქმნილებას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფასეულობათა სისტემა სხვაა და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მართოდენ ფაბულა, რომელსაც ამ ფასეულობათა სისტემაში მანაც შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს.

## **MERAB GHAGHANIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Free Universit*

### **Rustvelian Studies on the Religious Confession of the Author of *Vepkhistqaosani* in the 20<sup>th</sup> Century Socio and Cultural Context**

Rustaveli Studies soon after the emergence, which are linked with the first published edition of the *Vepkhistqaosani* (1712) and scholarly commentaries supplemented to this edition by Vakhtang VI, paid particular attention to the question of Rustaveli's religious confession. Over the past 300 years the issue has not lost its acuteness but this acuteness also conditioned the fact that consideration of the issue should proceed in a highly polemical mode.

In the development of Rustaveli Studies particularly fruitful and dynamic appeared to be the 20th century when the expansion and intensification of these studies was also manifested in various attempts to clarify Rustaveli's religious orientation. On the one hand, the subject of research became Rustaveli's personal, biographical confessional denomination treated by this or that researcher and on the other hand, religious position revealed in the *Vepkhistqaosani* (oftentimes both sides covered each other). The range of poet's affiliation to this or that religious confession is rather wide: from Manichaeism (Pavle Ingoroqva) to Pantheism (Shalva Nutsubidze), from biblical Christianity (Korneli Keke lidze) to esoteric Christianity (Manana Gigineishvili, Zviad Gamsakhurdia), from Christian Neo-Platonism (Niko Marr) to Christian Aristotelianism (Mose Gogiberidze, Elguja Khintibidze). Consideration of Orthodox Christian belief based on church teaching as Rustaveli's personal or creative confession by the researchers of Rustaveli counts only some manifestations which institutionally (Kalistrate Tsintsadze) or geographically (Victor Nozadze) were insured from the communist influence or communist ideological censorship (cf. following, even nonsystemic response of this position in Ivane Lolashvili's and Akaki Gatsrelia's research works at a time when the ever-vigilant soviet censorship was considerably slackened).

The search for Rustaveli's religious creed outside dogmatic teaching of the church by the researchers of Rustaveli was caused by twentieth-century ideological, cultural, social, political context: a) antichristian aspirations (even stamped as Nietzschean) characteristic of the epoch, especially the first half of the century; b) viewpoint based on liberal position that the more distanced from religion and the more detached, or in conflict with the church is a person and appropriately, a creator, the more "progressive" (and "unrestricted") he is; g) pragmatic view that in the communist country for the strengthening of Rustaveli's political cult (especially after 1934) it would be more acceptable to create the profile of the author of *Vepkhistqaosani* if not entirely anti-religious then at least a "free thinker", "unchurched", "anticlerical;" (cf. at least late controversy around the theory of Prokofii Ratiani). In Georgian literary tradition the vague and groundless information concerning the conflict between the church or various ecclesiastic teachings and Rustaveli and his poem widely spread in olden times represents an argument rather than a source.



## მერაბ ლალანიძე

*საქართველო, თბილისი*

*თავისუფალი უნივერსიტეტი*

### რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში

რუსთველის კვლევები აღმოცენების უმალ, — რაც „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ გამოცემას (1712) და ამ გამოცემაზე თანდართულ ვახტანგ მეექვსის კომენტარებს უკავშირდება, — საგანგებო ყურადღებას მიაპყრობდა რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის საკითხს. განვლილი სამასი წლის განმავლობაში საკითხის სიმწვავე არ შენელებულა, ხოლო ეს სიმწვავე იმასაც განაპირობებდა, რომ პრობლემატიკის განხილვა მნიშვნელოვანწილად პოლემიკურ ჭრილში წარიმართებოდა.

რუსთველის კვლევების განვითარებაში განსაკუთრებით ნაყოფიერი და დინამიკური იყო მე-20 საუკუნე, როცა ამ კვლევათა გაფართოება და გაღრმავება რუსთველის რელიგიური ორიენტაციის გარკვევის სხვადასხვა მცდელობებშიც გამოვლინდა. კვლევის საგნად იქცა, ერთი მხრივ, ამა თუ იმ მკვლევრის მიერ წარმოსახული რუსთველის პირადი, ბიოგრაფიული კონფესიური აღმსარებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, “ვეფხისტყაოსანში” გამოვლენილი რელიგიური პოზიცია (ხშირ შემთხვევაში, ორივე მხარე ერთმანეთს ფარავდა). ამა თუ იმ რელიგიური კონფესიისადმი პოეტის მიკუთვნების დიაპაზონი მეტად გაშლილი აღმოჩნდა: მანიქეველობიდან (პავლე ინგოროყვა) პანთეიზმამდე (შალვა ნუცუბიძე), ბიბლიური ქრისტიანობიდან (კორნელი კეკელიძე) ეზოთერიულ ქრისტიანობამდე (მანანა გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია), ქრისტიანული ნეოპლატონიზმიდან (ნიკო მარი) ქრისტიანულ არისტოტელიზმამდე (მოსე გოგიბერიძე, ელგუჯა ხინთიბიძე). ეკლესიის მოძღვრებას დაფუძნებული მართლმორწმუნე (ორთოდოქსული) ქრისტიანული აღმსარებლობის მიჩნევა რუსთველის პირად თუ შემოქმედებით კონფესიად რუსთველის კვლევათა შორის მხოლოდ ორიოდ გამოვლინებას მოითვლის, რომლებიც ინსტიტუციონალურად (კალისტრატე ცინცაძე) თუ გეოგრაფიულად (ვიკტორ ნოზაძე) დაზღვეული იყო კომუნისტური გავლენის ან კომუნისტური იდეოლოგიური ცენზურისაგან (შდრ. ამ პოზიციის შემდგომი, თუნდაც არასისტემური გამოძახილი — ივანე ლოლაშვილის და აკაკი განწრელიას გამოკვლევებში იმ ხანაში, როცა საბჭოთა ცენზურის სიფხიზლე უკვე მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო).

რუსთველის მკვლევართა მიერ რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის ძიება ეკლესიის დოგმატური მოძღვრების გარეთ განპირობებული იყო მე-20 საუკუნის იდეოლოგიური, კულტურული, საზოგადოებრივი, პოლიტიკური კონტექსტით: ა) ეპოქისთვის — განსაკუთრებით საუკუნის პირველი ნახევრისათვის — ჩვეული ანტიქრისტიანული (თუნდაც ნიცშეელობით დაღდასმული) მისწრაფებებით; ბ) ლიბერალურ პოზიციაზე დაფუძნებული თვალსაზრისით, რომ პიროვნება და, შესაბამისად, შემოქმედი მით უფრო „პროგრესულია“ (და „შეუზღუდავია“), რაც უფრო მოშორებულია რელიგიას და რაც უფრო მონყვეტილი ან დაპირისპირებულია ეკლესიას; გ) პრაგმატული მოსაზრებით, რომ კომუნისტურ ქვეყანაში რუსთველის სახელმწიფოებრივი კულტის განმტკიცებისათვის (განსაკუთრებით 1934 წლის შემდგომ) უფრო მისაღები იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის — თუ არა მთლად ანტირელიგიური — ყოველ შემთხვევაში, „თავისუფლად მოაზროვნე“, „არაეკლესიური“, „ანტიკლერიკალური“ პროფილი (მდრ. თუნდაც გვიანდელი პოლემიკა პროკოფი რატიანის თეორიის ირგვლივ). ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში ძველთაგანვე მოარული ბუნდოვანი და უსაფუძვლო ცნობა რუსთველისა და მისი პოემის კონფლიქტურობის შესახებ ეკლესიასთან თუ ეკლესიის მოძღვრებასთან სხვადასხვა ხსენებულ კონცეფციათა უფრო არგუმენტს წარმოადგენს, ვიდრე წყაროს.

**MANANA GELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Transformation of the Genre of Romance in Chaucer's *Canterbury Tales***

*Canterbury Tales* by Geoffrey Chaucer is often called an anthology of Medieval genres: fabliau, miracle, fable, romance - all these genres and many others are used in the pilgrims' tales. At the same time, Chaucer although chronologically belonging to the Middle Ages was a Renaissance man which is best testified by his innovative treatment of many of the genres in *Canterbury Tales*.

The present paper studies one of Chaucer's innovations, namely transformation of the genre of Romance in three texts of *Canterbury Tales*: The Knight's Tale, The Squire's Tale and Tale of Sir Thopaz.

The first text – The Knight's Tale – based largely on Boccaccio's *Teseida* is mainly centered on courtly love and chivalrous codex. However, with its philo-

sophical reflections on predestination and free will (influenced by Boethius' *Consolations of Philosophy* which Chaucer had translated into English) goes beyond genre limits.

The two other tales are not finished. The tale told by the Squire is characterized by less consistency and lack of narrative control. Abundance of exaggerated, fantastic and absurd elements reveals Chaucer's irony towards squire's love of this genre of literature.

The third text, *Sir Topaz* which is a parody of the genre – is told by Chaucer – character. The paper analyzes what devices are used by Chaucer-author to mocks chivalrous romance in this burlesque. Supposedly Chaucer deliberately left both tales unfinished to underline the absurdity of outdated institute and genre.

## **მანანა ბელაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

### **სარაინდო რომანის ჟანრის ტრანსფორმაცია ჩოსერის „კენტერბერიულ მოთხრობებში“**

ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“ შეასაუკუნეების სალიტერატურო ჟანრების ანთოლოგიად მიიჩნევა: ფაბლიო, მირაკლი, იგავი, სარაინდო რომანი — ყველა ამ ჟანრმა ჰპოვა ასახვა პილიგრიმთა მიერ მოთხრობილ ამბებში. ამასთანავე ჩოსერმა, რომლის შემოქმედებაში უკვე იგრძნობა მოახლოებული აღორძინების ეპოქის სულისკვეთება, ამ ჟანრებს ახალი სული შთაბერა. ამ თვალსაზრისით განსკუთრებით საინტერესოა შუა საუკუნეებში უაღრესად პოპულარული სარაინდო რომანის ჟანრი, რომელიც „კენტერბერიულ მოთხრობებში“ სამ მონათხრობში გვხვდება და ზუსტად ასახავს როგორც ამ ჟანრის პოპულარობას, ასევე იმ ფაქტსაც, რომ ჟანრმა, ისევე როგორც რაინდობის ინსტიტუტმა თავისი თავი ამოწურა.

სარაინდო რომანის პირველ ნიმუშს რაინდის მონათხრობი წარმოადგენს. მონათხრობში, რომლის სიუჟეტური წყარო ბოკაჩოს „თეზეიდაა“, კურტუაზიული რომანის ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მეტ-ნაკლებად დაცულია. თუმცა თავისი ფილოსოფიური გასჯილ ბედისწერისა და თავისფალი არჩევანის შესახებ (რომელშიც ჩოსერის მიერ თავმნილი შუასაუკუნეებში უაღრესად პოპულარული ფილოსოფიური ტექსტის — ბოეციუსის „ნუგუმის ძიება

ფილოსოფიაში“ — გამოძახილს ხედავენ) საგრძნობლად სცილდება ჟანრის ფარგლებს.

შემდეგი ორი სარაინდო რომანის ტექსტი ფრაგმენტს წარმოადგენს. ამათგან პირველს, რომელსაც ახალგაზრდა სკვადრი ყვება რაინდის მონათხრობისაგან გასხვავებით სიმწყობრე აკლია და ფანტასტიურ ელემენტთა სიუჟეტით ხასიათდება. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, თუ რის მოყოლას აპირებდა სკვადრი, მისთვის ხელი რომ არ შეეშალათ, მისი მონათხრობი მთელი „კენტერბერიული მოთხრობების“ მოცულობას ბევრად აღემატებოდა. ვვარაუდობ, რომ ჩოსერმა მონათხრობი შეგნებულად დატოვა დაუსრულებლად. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ „კენტერბერიული მოთხრობების“ მესამე სარაინდო რომანის ნიმუში ამ ჟანრის აშკარა პაროდის წარმოადგენს. მისი მოთხრობელი თავად ჩოსერია, რომელიც ერთერთ პერსონაჟად და ყველაზე უნიჭო მოთხრობელად გვევლინება ნაწარმოებში. მის მიერ მოთხრობილი „სერ ტოპაზის“ ამბავი თავისი ფორმითა და შინაარსით სარაინდო რომანის პაროდის წარმოადგენს, სადაც თავგადასავლებისა და ფათერაკების ძიება, ისევე როგორც სარაინდო კოდექსის ნორმები აბსურდამდეა მიყვანილი.

**ELENE GOGIASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **Interaction Between Literary and Folklore Genres in the Middle Ages: Motifs of a Fight Against a Tiger in Georgian Fairytales**

In the study of literary genres of the Middle Ages, the interaction between literary and oral traditions is usually questioned. The medieval romances in Europe and in the Orient were influenced by Byzantine romance which absorbed from a number of folklore motifs. Chivalric epic poems are linked to both traditions: literature and folklore. The medieval romance played an enormous role in the development of the image of the fairytale hero, the medieval romance itself being a successor of the Ancient heritage.

The connection of the fairytale motifs with mythology places the origins of the fairytale in the ancient times, but it is also heavily influenced by literature too. In Georgian folklore there are various versions of literary works which are completely transformed according to the rules of the oral tradition. An

especially remarkable influence on Georgian folklore was made by the poem of the 12th century “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli. Besides of numerous prosaic and rhymed versions of Georgian folk epic “Tarieliani”, there are plentiful fairytales which became a reflection of “The Knight in the Panther’s Skin” even if they are not substantially related to it.

One of the most popular motifs in Georgian fairytales is the fight and the victory of a protagonist against tigers and lions. Moreover, a special regard for the characters of “The Knight in the Panther’s Skin” is demonstrated in other narrative traditions, ethnographic reality and everyday Georgian vocabulary.

In Georgian fairytales, the symbolism of the defeat of a lion or a tiger serves as a preamble for the hero’s coronation. Fairytales with the motif of a fight with a tiger, aim to show a way to become a king. The Goal of every fairytale is the hero’s coronation that symbolizes not a social status but a mental attitude of a person, the inner feeling of being a king. This value is identical in medieval literary (“The Knight in the Panther’s Skin”) and folklore (fairytales) motifs.

## **ელენე გოგიაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **შუა საუკუნეების ლიტერატურულ და ფოლკლორულ ჟანრთა ურთიერთმიმართება: ვეფხვთან ბრძოლის მოტივები ქართულ ზღაპრებში**

შუა საუკუნეების ლიტერატურული ჟანრების შესწავლისას მუდმივად დგება მნიგნობრულ და ზეპირ თხრობით ტრადიციათა ურთიერთმიმართების საკითხი. ბიზანტიური რომანი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის შუა საუკუნეებში დასავლური და აღმოსავლური რომანის ფორმირებაში, ფოლკლორული ტრადიციით იყო ნაკვები. ლიტერატურისა და ფოლკლორის მიჯნაზე მდგომ საგმირო ეპოსს თანაბრად აქვს კავშირი ლიტერატურასთანაც და ზეპირსიტყვიერებასთანაც. ზღაპრის გმირის სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების სარაინდო რომანს, რომელსაც, თავის მხრივ, ბევრი რამ აქვს გამოყენებული ანტიკური მემკვიდრეობიდან.

ხალხური ზღაპრის სიუჟეტებისა და მოტივების მითოლოგიასთან კავშირის გამო ზღაპარი უძველეს ფოლკლორულ ჟანრად არის მიჩნეული, მაგრამ ამავე დროს ის ლიტერატურის ძლიერ გავლენასაც განიცდის. ქართულ ფოლკლორში ამგვარ მოვლენას ხშირად ვაწყდებით ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურებული ვერსიების სახით,

რომლებიც სრულად ტრანსფორმირებული არიან ზეპირი თხრობის კანონების შესაბამისად. განსაკუთრებული გავლენა ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე მოახდინა „ვეფხისტყაოსნმა“. გარდა ხალხური „ტარიელიანის“ სალექსო და პროზაული ვარიანტებისა, „ვეფხისტყაოსნის“ კვალი ჩანს იმ საზღაპრო მოტივებზეც, რომლებსაც სიუჟეტურად არაფერი აქვთ საერთო მასთან.

ქართულ ზღაპრებში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოტივია გმირის ლომებთან და ვეფხვებთან შებმა და მათი დამარცხება. საზღაპრო რეპერტუარის გარდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება ჩანს სხვა თხრობით ტრადიციებში, ეთნოგრაფიულ სინამდვილესა და ყოველდღიურ ლექსიკაშიც.

ლომ-ვეფხვის დახოცვის სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ზღაპრებში მეფედ გახდომის წინაპირობის ფუნქციას ასრულებს. ზღაპრები, რომლებშიც გმირი ვეფხვებსა და ლომებს ამარცხებს, მიზნად გამეფების გზის ჩვენებას ისახავს. ყველა ჯადოსნური ზღაპრის მიზანი საბოლოოდ გმირის გამეფებაა, რომლის სიმბოლური მნიშვნელობაც არა სოციალურ სტატუსს, არამედ ადამიანის სულიერ მდგომარეობას — „შინაგან ხელმწიფობას“ უკავშირდება. ამ ღირებულების მიხედვით კი ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოებების მოტივები იდეურადაც ერთმანეთს თანხვდება.

## **TAMAR GOGOLADZE**

*Georgia, Tbilisi*

*GTU*

### **Leonardo da Vinci and Michelangelo Georgian Cultural Space**

The creative viewpoints of two great artists-Leonardo da Vinci and Michelangelo represent conceptions somehow different from each other and characteristic to the representative of Georgian Renaissance—a poet Shota Rustaveli (in the poem “The Knight in the Panther’s skin”). The starting point of the three artists is the theory by St. Dionysius areopageli and it is personified in them as the observing analysis of beauty, as the nature spread by multi-colors with a man in the centre of it. So, the creative works or thoughts of Leonardo da Vinci and Michelangelo appeared so important for Georgian consciousness.

This work aims to interpret the two Italian geniuses’ views in the space of Georgian culture the beginnings of which dates back to the 20s of the XIX century and at the same time considers the reminiscences of Leonardo da Vinci and Michelangelo in the Georgian literature. According to the principles of

history we tried to find out how the symbolist-Valerian Gaprindashvili identifies La Gioconda to Leonardo da Vinci, Tamar to Shota Rustaveli (“The Smile of La Gioconda”). The smile of La Gioconda represents the art muse for the symbolists and so in the modern poetry it is “vague” and “cracked”.

In spite of lots of literary studies and art study researches the study of these mentioned questions in the presented work is carried out in complex for the first time and we are sure it will enrich the research area about these two great Italians.

## თამარი ბობოლაძე

*საქართველო, გორი*

*გორის სასწავლო უნივერსიტეტი*

### ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო ქართულ კულტურულ სივრცეში

ორი დიდი ხელოვანის — ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს შემოქმედება-თვალთახედვა განასახიერებს რამდენადმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონცეფციებს, ასე დამახასიათებელს ჯერ კიდევ ქართული რენესანსის ღირსეული წარმომადგენლის პოეტ შოთა რუსთაველისთვისაც (პოემაში „ვეფხისტყაოსანი“). სამივეს ამოსავალი წერტილი ფსევდო დიონისე არეოპაგელის თეორიაა და განსახიერებულია მათში, როგორც მშვენიერების დაკვირვებული ანალიზი, ისე „უთვალავ ფერთა სახით გაშლილი ბუნება რომლის ცენტრშიც ადამიანია. ამდენად ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს შემოქმედება, თუ ნააზრევი ასე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული ცნობიერებისათვის.

ნაშრომი მიზნად ისახავს სწორედ ორი იტალიელი გენიოსი ხელოვანის გააზრების ქართულ კულტურულ სივრცეში, რომლის საწყისები XIX საუკუნის 20-იანი წლებთანაცა დაკავშირებული და გულისხმობს, ამავედროულად, ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოს რემინესცენციებსაც ქართულ ლიტერატურაში. ისტორიზმის პრინციპების გათვალისწინებით, ვცადეთ გაგვერკვია, როგორ აიგივეებს სიმბოლისტი ვალერიან გაფრინდაშვილი ჯოკონდას — ლეონარდი და ვინჩისათვის, თამარს — შოთა რუსთაველისათვის („ჯოკონდას ღიმილი“) ჯოკონდას ღიმილი სიმბოლისტებთან განასახიერებს ხელოვნების მუზას და, ამდენად, პოეტის თანამედროვე პოეზიაში იგი „გაბზარულია“ და „ბუნდოვანი“.

აღნიშნული საკითხების შესწავლა წინამდებარე ნაშრომში მიუსავად არსებული უამრავი ლიტერატურული მცოდნეობითი და ხელოვ-

ნებათმცოდნეობითი გამოკვლევებისა ჩვენს მიერ ასე კომპლექსურად ხორციელდება პირველად და, ვფიქრობთ, გაამდიდრებს რამდენიმე შტრიხით მაინც ამ ორი უდიდესი იტალიელის შესახებ არსებულ კვლევების არეალს.

**NANA GONJILASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **“Three are the ways of showing friendship by a friend”**

The embodiment of friendship in the *Vepkhistqaosani* is one of the leading motifs of the poem. In the prologue there is no discourse on friendship, only two lines (“And of the three star-like heroes who faithfully served one another” and “Eloquent must my verses be, majestic, melodious and sweet”) indicate that the friendship between three heroes and their praise will be described in the poem. In the text Rustaveli explains us the principles determining friendship announced in Avtandil’s words which reflect the world perception of all epochs and all peoples.

The reflection and manifestation of a certain code of Rustaveli’s concept of friendship – “Three are the ways of showing friendship by a friend”, in the relationship of heroes and their way of life have been studied in the work. All three principles of the friendship are considered: I – “the wish for nearness”; II - “to stand by his side and ungrudgingly serve and attend him”; III - “to be ready to sacrifice all, even one’s life in his service”. The so-called first way of showing friendship by a friend in the poem is extended in full and represented with all possible nuances by Rustaveli. The feeling of friendship in different situations and environments manifests itself in different ways, though the power of this feeling in Rustaveli’s heroes and service for it are alike. The consideration of the text of the poem highlights two sides – the heroes share with each other and do not feel shy to acknowledge unendurable spiritual torture caused by parting far from each other; the hero expresses in words the pangs caused by parting with a friend before others. Rustaveli renders with most extreme tension the episodes reflecting the feelings of sworn brother heroes’ unity and parting. All this is directed for sharing the experience of the heroes with the reader which is stated by the author himself; at the same time, it is an indicator of similarity and chosenness of the heroes.



In the life of his heroes Rustaveli emphasizes the “ungrudgingly serve”, generosity; the heroes share with joy and it is interesting to note that the recipients of the gifts accept them from the brother-friend with great dignity, love and gratitude.

The demonstration of friendship by the heroes, readiness to renounce personal happiness for a brother-friend’s sake, “to sacrifice all, even one’s life in his service”, to help a friend in dire need is the essence of the sworn-brothers’ life, the basis for the triumph of love and kindness for which they give up the transient world.

In the poem special attention is paid to the “wish for nearness”, “impatience of distance” and “to be ready to sacrifice all”. As to the “ungrudgingly serve” and sacrifice, Rustaveli pays to it comparatively less attention, although it is quite enough to get an idea.

Three defining characteristics formulated by Rustaveli as the ways of showing friendship by a friend are presented in the heroes’ relationship and life.

## ნანა გონჯილაშვილი

*საქართველო, თბილისი*

*მოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა“**

ნაშრომში შესწავლილია რუსთაველური მოყვრობის ერთგვარი კოდექსის — „სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა...“ — ასახვა-გამოვლენა გმირთა

ურთიერთდამოკიდებულებაში, მათი ცხოვრების წესში. განხილულია მოყვრობის სამივე დებულება — „ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა“, „მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა“ და „გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“. რუსთაველი მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის ე. წ. პირველ წესს პოემაში სრულად გაშლის და ყველა შესაძლო ნიუანსით წარმოაჩენს. მოყვრობის გრძნობა განსხვავებულ სიტუაციებსა და გარემოში და სხვადასხვა გამომსახველობით ვლინდება, თუმცა გმირთა ბუნების შესატყვისი ამ გრძნობის სიძლიერე და მისთვის გამოჩენილი სამსახური მსგავსია. პოემის ტექსტის განხილვა ორ მხარეს გამოკვეთს — გმირები ერთმანეთს უმხელენ და არ ერიდებიან სიშორით გამოწვეული სულიერი ტანჯვის გაუსაძლისობის აღიარებას; გმირი სხვათა წინაშე სიტყვით ამჟღავნებს მოყვარესთან სიშორის ტკივილს. რუსთაველს უაღრესი სიმძაფრით აქვს გადმოცემული ძმადნაფიც გმირთა შეყრა-განშორებისას ადამიანურ განცდათა ამსახველი ეპიზოდები. ყოველივე ეს

გმირთა ემოციურ განწყობასთან მკითხველის თანაზიარობისკენაა მიმართული, რასაც თავად ავტორი აღნიშნავს; იმავდროულად, გმირთა ერთფერობის და მათი გამორჩეულობის მაჩვენებელია.

რუსთაველი გმირების ყოფაში გამოკვეთს „ჩუქების არ მოწყენას“, უზომო სიუხვის გამოჩენას; „გულ-სადაგნი“ გმირები სიხარულით აღასრულებენ ძღვნობას და, საინტერესო ისაა, რომ საჩუქართა მიმღებნი უდიდესი ღირსებით, სიყვარულითა და მადლიერებით იღებენ მოყვრისაგან ნაბოძებს.

გმირთაგან მოყვრობის გამოჩენა, ერთმანეთისთვის „გავლენა“ და მოხმარება“, „ველთა რბენა“ და სულის არდაშურება მოყვარეთა ცხოვრების საზრისია, სიკეთის გამარჯვების, სიყვარულის „გასრულების“ საფუძველია, რისთვისაც ისინი ნუთისოფელს თმობენ.

პოემაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა მოყვარეთაგან „სიახლის ნდომას“, „სიშორის ვერ მოთმენას“ და „გავლენა“-„მოხმარებას“. რაც შეეხება „ჩუქების არ მოწყენას“ და უშურველობას, რუსთაველი მას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს, თუმცა აღწერილი და გადმოცემული სრულიად საკმარისია წარმოდგენის შესაქმნელად.

რუსთაველის მიერ მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის დებულებებზე ჩამონაკვეთული სამი განმსაზღვრელი მახასიათებელი სრულადაა წარმოჩენილი გმირთა ურთიერთობასა და ყოფაში.

**ELINA GUSEVA**

*Ukraina, Mariupol*

*Mariupol State University*

### **Fantasy – the Becoming of Genre (From Fantastic Fiction of Middle Ages to Fairy-Fale-Medieval Fantasy)**

The origin of fantastic fiction is attributed to the clash of mythological and realistic world outlooks, and the development of this genre in Middle Ages is conditioned by a conflict of the ritual and the artistic fiction. In the dark Ages subgenres of visions and revelations developed, trip and utopia – a heritage of antiquity – acquired a Christian orientation. The apocryphal literature, alongside with Celtic epos, became a new source of fantasy.

A world view crisis became a basis of the revival of fantasy in modern time. The epoch of postmodernism proves oneself in such subgenres of fantasy as

fairy-tale-medieval story. The artistic world of fairy-tale-medieval fantasy is built as the world of past, its Christian-religious basis is reflected in details and symbols (fire, cross). The images of medieval warrior or knight are guessed in the heroes of «fantasy of past». On the other hand, the obligatoriness of righteous men becomes a distinctive feature of its heroes. Medieval symbolism marks such examples of Ukrainian fantasy as Marina and Sergey Dyachenko's novel «Witch age» (burning on a fire, renunciation from faith, miraculous rescue), Middle Ages is one of the alternative worlds of their novel «Execution».

Fairy-tale-medieval fantasy possesses the same potential of world creation, as fantasy on the whole. The Christian idea of creation of the world inspires writers to produce universes of their own – the worlds of the past, of the future and the parallel worlds.

**ЕЛЕНА ГУСЕВА**

*Украина, Мариуполь*

*Мариупольский государственный университет*

### **Фантастическое – становление жанра (от фантастики эпохи Средневековья к сказочно-средневековому фэнтези)**

Зарождение фантастического связывают с противостоянием мифологического и реалистического мировосприятий, развитие фантастики как жанра обусловлено столкновением обрядовости и художественного вымысла. В Средневековье, которое, как считается, противилось фантастическому, происходит становление новых разновидностей жанра, в частности, развивается (под)жанр видений, тяга к чудесному формирует (под)жанр откровений. Жанры фантастического путешествия и утопии – наследие античности – приобретают в Средневековье христианскую этическую направленность. Новым источником фантастического, наряду с кельтским эпосом, становится апокрифическая литература.

Мировоззренческий кризис, который когда-то привел к расщеплению мифа на реальное и вымышленное, лежит и в основе возрождения фантастического в современной литературе. Эпоха постмодернизма, с ее обращенностью в прошлое, проявляет себя в такой разновидности фэнтези, как сказочно-средневековая фантастика. Средневековые корни проступают в лучших образцах фэнтези – произведениях Роберта Говарда, Клайва Льюиса, Джона Толкина.

Художественный мир сказочно-средневековой фантастики строится как мир прошлого, а их христианско-религиозная основа проявляется в деталях и символах (огонь, крест). В героях «фэнтези прошлого», «темного фэнтези» угадываются черты средневекового воина или рыцаря куртуазных романов. С другой стороны, им свойственна жертвенность праведников, они наделены предзнанием своей судьбы. В современной украинской литературе к данному разряду фэнтези относятся некоторые произведения Марины и Сергея Дяченко («Варан», «Казнь», «Ведьмин век»). Средневековая символика отличает роман «Ведьмин век» (сожжение на костре, отречение от веры, чудодейственное спасение), Средневековье – один из альтернативных миров, созданных героем романа «Казнь».

Для сказочно-средневековой фантастики характерен тот же мирообразовательный потенциал, что и для фэнтези в целом. Христианская идея сотворения мира вдохновляет писателей на создание собственных вселенных – миров прошлого, будущего и параллельных миров.

## **ETER INTSKIRVELI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Issue of Literacy and Folk Cultures Interrelation in the Middle Ages**

Folk and literacy interrelation issue is one of the most important aspects among the number of principles determining the medieval era literature process. Such approach to the issue was evoked by the formation of educated and uneducated classes in the medieval era (**Docti** and **idiotae**) and it was manifested in society where two types of social classes coexisted and thus created two kinds of cultures and inspirations. The report covers the aspects of these interrelation:

1. The relation among these cultures was not unilateral: they shared the same influence and thus gained the same terrestrial and divine, material and spiritual mixed shades.

2. The spiritual mission of church – to make cultural adaptation with people – was only possible only if people were able to understand that the function of knowledge holders was to educate the people and to transmit their knowledge and education to uneducated and illiterate class. To deal with the problem and affect on the mass famous persons and plot were widely used.

3. The church ecumenical councils decision strictly forbade to transfer The New and Old Testament into popular language, they thought it would be the new folk, narrative and poetry „version“ of the holly literature and it would be inculcated in people.

4. The texts were created by the educated people, literary monks, theologians and writers, there creative works served to educate parish and people and to make their intellectual progress.

5. Folk texts analysis show that church writings should reach people without any hesitation, even if they appeared to be gramatically and lexically incorrect.

6. The author manifested his ideas in popular language and thus ensured the information delivery to masses. The aim of such activity was to conquer the different social classes. People also played the great role as listeners and affected the author: the author was in the centre of masses and kept the cultural memory of archaic era.

## ეთერ ინსპირველი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ნიგნიერ და ფოლკლორულ კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხი შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესის განმსაზღვრელ მრავალ პრინციპსა და მეთოდს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ნიგნიერ და ფოლკლორულ კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხს უჭირავს.

საკითხის ამგვარად დასმა განაპირობა შუა საუკუნეებში ადამიანების ორ — განათლებულ და გაუნათლებელ (**Docti** და **idiotae**) — ფენად ჩამოყალიბებამ ნერა-კითხვის ცოდნის თვალსაზრისით. თანაარსებობდა ორი საზოგადოება, შესაბამისად — ორი კულტურა, ორი სულიერება. მოხსენებაში მოცემულია მათი ურთიერთმიმართების ფორმები:

1. ურთიერთობა ამ კულტურებს შორის არ ყოფილა ცალმხრივი: ისინი ურთიერთზეგავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე, რამაც ორივესთვის დამახასიათებელი მიწიური და ზებუნებრივი, მატერიალური და სულიერი ფონის შერევა განაპირობა.

2. საეკლესიო სულიერების მისია — მოეხდინა კულტურული ადაპტაცია ხალხთან — მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდებოდა, თუ ის ხალხისთვის გასაგები იქნებოდა: ცოდნის მფლობელის ფუნქცია იყო ამ ცოდნის მათთვის გადაცემა, ვისაც ნიგნთან შეხება არ ჰქონდა.

ამიტომ ხშირად მიმართავდნენ ნაცნობ სახეებს და სიუჟეტებს, რათა არ გასცილებოდნენ მასის თვალსაწიერის ჩარჩოს.

3. ვინაიდან, საეკლესიო კრებათა გადანყვეტილებით, არ შეიძლებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ხალხურ ენაზე გადატანა, იქმნებოდა მათი ახალი, „ხალხური“ ვერსია, პოეტური ან თხრობითი, რომ საკრალური ლიტერატურა ხალხის წიაღში დაემკვიდრებინათ.

4. ამ ტექსტებს ქმნიდნენ განათლებული, წიგნიერი ბერები, ღვთისმეტყველები და მწერლები, რომელთა მოღვაწეობა მრევლის უმრავლესობის, უბრალო ხალხის ინტელექტუალურ ამადლებას ემსახურებოდა;

5. ფოლკლორული ტექსტების ანალიზი აჩვენებს, რომ საეკლესიო მწერლობის მაღალ ჟანრებს ნებისმიერი გზით უნდა მიეღწია ხალხთან, თუნდაც ეს გრამატიკულად გაუმართავი და დაუხვეწავი ტექსტი ყოფილიყო.

6. მართალია, გაუნათლებელ ხალხში საეკლესიო ლიტერატურის ზეპირი გზით შეტანა აიძულებდა ავტორს, ესაუბრა ხალხისთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ ხშირად ეს არა მხოლოდ მასის ცნობიერების დაპყრობის მიზნით ხდებოდა, არამედ იმის გამოც, რომ თვითონაც განიცდიდა აუდიტორიის ძლიერ გავლენას: თვითონ ავტორი იყო მასის შუაგულში და, უეჭველია, ინახავდა არქაული დროების კულტურულ მესხიერებას.

## **MAIA JALIAHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Renaissance of Rustaveli' Poetics in the Poetry of “The Blue Horn”**

“The writer of the future must unite Rustaveli and Mallarmé”, wrote Georgian Modernist poet Titsian Tabidze and he outlined as a formula the future of Georgian poetry face. Rustaveli, a Georgian classic poet, expressed the best traditions of Georgian culture and Mallarmé, French poet, was a symbol of modern western modernist aesthetics culture.

According to “The Blue Horn”, renewal of Rustaveli poetics and other old poetic traditions have been the basis of Georgian Symbolical poetry. Modernism meant for them, first of all, “Renaissance” of Rustaveli's Poetic Experience (Valerian Gaprindashvili). Significant changes have occurred in the early twentieth century in Georgian literature. Modernist tendencies contributed to the

establishment of a new aesthetics. Modernism opposed the worn and old “templates”, which was reigning in Georgian literature. The Georgian Modernist first task was to restore the aesthetic value of artistic word. “Blue Horns” thought, that Saint art backbone was broken for centuries.

The backbone must restore by Symbolist with a direct connection to Rustaveli poetics. The bridge must be based with the help of Besik Gabashvili, the distinguished poet of the eighteenth century. “The Blue Horns” was declaring Besik Gabashvili, Georgian poet of eighteenth century, as their ancestor, because they were linked their work to Besiki’s poetry in terms of music and metaphorical artistic style. They were considered Besik as a worthy successor of Rustaveli.

“Blue Horns” justified the connection that existed between Symbolism and genuine Georgian poetry (from Rustaveli to Besiki). “Individualism, freedom of creativity, art for art, that preaches the Symbolist school, is not new for Georgian Literature. Such claim is a misunderstanding after Rustaveli and Besiki” (Titsian Tabidze).

The modernists do not forget that the human life of XX th century are different from the old ages of, ideology, consciousness, perceive the environment. All of this is influenced on the culture. The new life was given a new perspective to art.

The main thing was, that “old Georgian Poetics” was the fertile ground and sources for Modernism. The “Blue Horns” thought that Georgia has gathered all his artistic energy in the “The knight in the Panther’s Skin”. Modern and old poetry similar to each other by intensity of creative. Titsian Tabidze think Besik Gabashvili continued Rustaveli’s aesthetic ideals. Besiki was the wizard of musical energy of language, and therefore Symbolists declared he as the Georgian Symbolism ancestor. It is noteworthy, that the Symbolist tried to find the roots of Modernism in the national bosom like European poets.

## **მანია ჯალიაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **რუსთაველის პოეტიკის რენესანსი ცისფერყანწელთა პოეზიაში**

„მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის, როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტაციზმის და ფუტურისმის“, — ასე ფორმულასავით გამოკვეთა ტიციან ტაბიძემ მომავალი ქართული პოეზიის სახე.

ცისფერყანწელთა აზრით, სწორედ რუსთაველის პოეტიკის აღორძინება უნდა ყოფილიყო ქართული პოეზიის განახლების საფუძველი. მათთვის მოდერნიზმი ნიშნავდა „რუსთაველისა და ძველი პოეტების რენესანსს“ (ვალერიან გაფრინდაშვილი).

მეოცე საუკუნის პირველ ოცნლეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართულ ლიტერატურაში. მოდერნისტულმა ტენდენციებმა ხელი შეუწყო ახალი ესთეტიკის დამკვიდრებას.

მოდერნიზმი დაუპირისპირდა ლიტერატურში გამეფებულ „ბატონ შაბლონს“, რომელიც „მაღაყს გადადიოდა“ ქართულ მწერლობაში. ქართველმა მოდერნისტებმა უპირველეს ამოცანად სიტყვის ესთეტიკური ფასეულობის აღდგენა დაისახეს მიზნად.

ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ საუკუნეთა განმავლობაში წმინდა ხელოვნების გატეხილი ხერხემალი სიმბოლისტებს უნდა აღედგინათ რუსთაველთან პირდაპირი კავშირით, მასთან ხიდის გადებით, ხოლო „საყრდენად“ ბესიკი გამოადგებოდათ, რომელსაც რუსთაველის პოეტიკის ღირსეული მემკვიდრედ იმიჩნევდნენ.

ცისფერყანწელები ასაბუთებდნენ იმ კავშირს, რომელიც არსებობდა სიმბოლიზმსა და ნამდვილ ქართულ პოეზიას შორის (რუსთაველიდან ბესიკამდე). „ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს სკოლა (სიმბოლისტების), საქართველოსთვის ახალი არ არის. რუსთაველისა და ბესიკის შემდეგ ამის მტკიცება თითქოს გაუგებრობაა“ (ტიცან ტაბიძე).

ქართველი მოდერნისტები არც იმას ივინყებდნენ, რომ XX საუკუნის ადამიანი განსხვავდებოდა ძველი საუკუნეების ადამიანისგან ცხოვრების წესით, მსოფლხედველობით, ცნობიერებით, გარემოს აღქმით — ყოველივე ეს კი გავლენას ახდენდა კულტურაზე. ახალმა ცხოვრებამ ხელოვნებასაც ახალი პერსპექტივები გაუჩინა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ „ძველი ქართული პოეტიკა“ იყო ნოყიერი ნიადაგი და წყარო მოდერნიზმისთვის. ცისფერყანწელები ფიქრობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „საქართველომ შეკრიბა მთელი თავისი მხატვრული ენერჯია“, მათ კი ერთმანეთთან ანათესავებდათ „შემოქმედების ინტენსივობა“. ტიცანის აზრით, ბესიკმა გააგრძელა რუსთაველის ესთეტიკური იდეალები. ენის მუსიკალური ენერჯიის ჯადოქრობა მას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამამთავრად“. საგულისხმოა, რომ ცისფერყანწელები, ევროპულ თანამოკალმეთა მსგავსად, ცდილობდნენ მოდერნიზმის ფესვების ეროვნულ წიაღში დაძებნას.



**INNA KLITA**

*Czech Republic, Usti nad Labem*

*University of Jan Evangelista Purkinje*

**Images of women educator in the cultural space of  
the Middle Ages  
Tamar of Georgia – Saint Eufrasinia Polotskaya –  
Saint Agnes of Bohemia**

The paper presents the most significant women of the Middle Ages – Georgian Queen Tamar (თამარ მეფე: 1160/6–1209/13), Saint Eufrasinya Polotskaya (Еўфрасінья Полацкая: 1101/5–1173), Agnes Czech (Svatá Anežka Česká: 1211-1282). In comparative perspective represents their role in the development of the national cultures and traditions (Georgian, Belarusian and Czech).

**ИННА КАЛИТА**

*Чехия, Усти над Лабой*

*Университет Я.Э.Пуркине, Усти над Лабой*

**Образы женщин-просветительниц в культурном  
пространстве Средневековья  
Царица Тамар – Евфросинья Полоцкая – Анежка Чешская**

В компаративном ракурсе представлены наиболее значительные женщины Средневековья и их роль в развитии национальных культур и традиций (грузинской, белорусской и чешской). Грузинскую Царицу Тамар (თამარ მეფე: 1160/6–1209/13) называли сосудом мудрости, не царицей, а царём. Святая Ефросинья Полоцкая (Еўфрасінья Полацкая: 1101/5–1173) была признана одной из самых значительных фигур Средневековья Восточной Славии и в настоящее время считается покровительницей Беларуси. Чешская принцесса Анежка Чешская (Svatá Anežka Česká: 1211–1282) вместо роскоши отдала предпочтение благотворительности и служению народу. Их имена связаны с «золотым веком» национальных культур, религиозностью и благотворительностью, началом образования. О них ходили легенды. Все три признаны святыми.

**MARIAM KARBELASHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **European Discourse of Vakhtang the Sixth, the Founder of Scientific Rustaveli Studies**

Vakhtang the Sixth, with the critically identified text of the “Knight in the Panther’s Skin” and its commentaries – which, substantially, comprise the monograph in literary criticism – determined the main line of development of Rustaveli studies: this is the wide range of study of the poem, high scientific level and analytical method. It seems amazing that in-depth understanding of true substance of the work created three hundred years ago requires the scale of contemporary European medieval studies as only with respect of such researches the true essence of Vakhtang’s works could be understood, which, actually, is identical to the European type of thinking. One could not appreciate the level of Vakhtang’s scientific considerations and true value of his work without regarding the progressive trends contained therein and having features common with the contemporary European medieval studies’ achievements. Vakhtang, due to his inherent talent and unique wide education, identified many cardinal issues – and not only identified but also resolved them correctly – which are categorized as the most important problems of contemporary medieval studies.

One of the outstanding samples of Vakhtang’s analytical thinking is identification of the original basis of the “Knight in the Panther’s Skin” and accurate description thereof – this is the structure of fairy tale being, at the same time, the basis of the west European tales of chivalry. It should be specially noted that Vakhtang explained the plot of “Knight in the Panther’s Skin” as the author’s creation and gave preference to the reality created by the writer’s individual fantasy, author’s imagination, what is the specific feature of European type of art and due to which Chretien de Troyes was honored with the title of inventor of the novel of new time. In Vakhtang’s interpretation the scientific level is determined by the specific terminology allowing distinguishing of general characteristic features of Rustaveli’s poem created by the genre historical development and at the same time, being the characteristic feature of the European romance of chivalry (Chretien de Troyes, Wolfram von Eschenbach) (new conception of love, genesis of the “heroic deeds” and “woman’s cult”, educational nature of the 12<sup>th</sup> century romances of chivalry, composition issues etc.).

Substance of Vakhtang's considerations is in his Weltanschauung, world understanding and world perception – his discourse in Rustaveli studies is of fully European nature.

## **მარიამ კარბელაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებლის ვახტანგ მეექვსის ევროპული დისკურსი**

ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტით და მისი კომენტარით — რომელიც თავისი არსით ლიტერატურათმცოდნეობითი მონოგრაფიაა — რუსთველოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი განსაზღვრა: ესაა პოემის კვლევის ფართო სპექტრი, მაღალი მეცნიერული დონე და ანალიტიკური მეთოდი. თითქოს საოცარია, მაგრამ რუსთველოლოგიის ფუძემდებლის მიერ სამასი წლის წინ შექმნილი ნაშრომის ჭეშმარიტი არსის შემეცნებას თანამედროვე ევროპული მედიევისტის მასშტაბი დასჭირდა, რადგან მხოლოდ ამგვარ კვლევათა ასპექტში ხდება შესაძლებელი ვახტანგის ნაშრომით რეალური რაობის გაცნობიერება, რომელიც არსებითად ევროპული ტიპის აზროვნების იდენტურია. ვახტანგის მეცნიერული აზროვნების დონეს და მისი ნაშრომების ჭეშმარიტ ღირებულებას ვერ შევაფასებთ, თუ არ გავითვალისწინებთ მასში არსებულ იმ პროგრესულ ტენდენციებს, რომლებითაც იგი დღევანდელი ევროპული მედიევისტის მიღწევებს ეხმიანება. ვახტანგმა თანდაყოლილი ნიჭიერებისა და უნიკალური ფართო განათლების წყალობით ბევრ ისეთ კარდინალურ საკითხს მიაგნო — და არა მხოლოდ მიაგნო, არამედ სწორადაც გადაჭრა — რომელნიც დღევანდელი მედიევისტის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიცხს განეკუთვნება.

ვახტანგის ანალიტიკური აზროვნების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს მის მიერ ვეფხისტყაოსნის პირველსაფუძვლის მიგნება და ზუსტი დახასიათება წარმოადგენს — ესაა ფოლკლორული ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა, რომელიც დასავლური სარაინდო რომანის პირველსაფუძველიც არის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგმა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი განმარტა, როგორც ავტორისეული გამონაგონი და უპირატესობა მიანიჭა მწერლის ინდივიდუალური ფანტაზიით შექმნილ სინამდვილეს, ავტორისეულ იმაგინაციას, რაც

მხოლოდ ევროპული ტიპის მხატვრული შემოქმედების სპეციფიკაა და რომლის წყალობით კრეტიენ დე ტრუას ახალი დროის რომანის გამომგონებლის პატივი ერგო. ვახტანგის „თარგმანში“ მეცნიერულ დონეს სპეციფიკური ტერმინოლოგია განსაზღვრავს, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება რუსთაველის პოემის იმ ზოგად თავისებურებათა გამოყოფა, რომელიც ჟანრის ისტორიულმა განვითარებამ შვა და იმავე ეპოქის ევროპული სარაინდო რომანების (კრეტიენ დე ტრუა, ვოლფრამ ფონ ეშენბახი) მახასიათებელიც არის (სიყვარულის ახალი კონფეფცია, „საქმეთა საგმიროთა“ და „ქალის კულტის“ გენეზისი, XII საუკუნის რომანის აღმზრდელობითი ხასიათი, კომპოზიციის საკითხები და სხვ.).

ვახტანგისეული მსჯელობის არსი მის მსოფლმხედველობასა, მსოფლგაგებასა და მსოფლშეგრძნებაში მდგომარეობს — მისი რუსთაველოლოგიური დისკურსი თავიდან ბოლომდე ევროპულია.

**LIA KARICHASHVILI, REVAZ SIRADZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **The Phenomenon of Author and "The Man in the Panther's Skin"**

The phenomenon of author is a subject of separate study in scholarly literature (R.Ingarden, R.Bart, I.Hoizinga, M.Bakhtin, Umberto Eco, also Georgian authors: L.Bregadze, I.Ratiani, R.Qaralashvili, etc.).

From this viewpoint, of pre Rustvelologic epoch attention deserve biblical and exegetical traditions, "The Life of St.Nino", "The Martyrdom of Abo Tbileli", generally, hagiographic narrative as a mouthpiece of the author's self-knowledge, "Amiran-Darejiani", creativity of eulogists. The tradition of the phenomenon of author from Byzantine secular and west European chivalry novels should be taken into consideration.

The presence of the author is felt already in the prologue to the poem "The Man in the Panther's Skin" (*Vepkhistqaosani*) as a poet, being in love, sympathetic with of his own personages and theoretician. Besides this, the text of the poem is accompanied with Rustaveli's "comments". It is a kind of inclusion, from the viewpoint of the plot small interruption, delay when Rustaveli evaluates a particular behavior of this or that protagonist or a fact from the perspective of the reader. Frequently this evaluation is emotional. The study of

these “comments” made it possible their classification and marking: Rustaveli makes the presentation of his own personal profile, ethic and aesthetical and poetic credo; expresses his sympathy, approval, delight, amazement or condemns something unacceptable, amoral. Some “commentaries” are of philosophical character. At the same time, Rustaveli never forgets the reader, does not break off the contact with the reader, beginning from the prologue (“Come, sit ye down, let us weep for Tariel’s sake...” ) up to the end of the poem (“Such is the treachery of time”...).

Thus, in the "The Man in the Panther's Skin" the phenomenon of author manifest itself not only as a creator but, at the same time, in the plot of the poem he is perceived as a participator, shows empathy, recipient and in this case he positions himself as the author and the reader.

## **ლია კარიჭაშვილი, რევაზ სირაძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ავტორის ფენომენი და „ვეფხისტყაოსანი“**

ავტორის ფენომენი ცალკე შესწავლის საგანია სამეცნიერო ლიტერატურაში (რ. ინგარდენი, რ. ბარტი, ი. ჰოიზინგა, მ. ბახტინი, უმბერტო ეკო, აგრეთვე ქართველი ავტორები: ლ. ბრეგაძე, ი. რატიანი, რ. ყარალაშვილი ...).

ამ თვალსაზრისით წინარერუსთაველური ხანიდან საყურადღებოა ბიბლიურ-ეგზეგეტიკური ტრადიციები, „ნმ. ნინოს ცხოვრება“, „აბოს წამება“, ზოგადად, აგიოგრაფიული ნარატივი, როგორც ავტორის თვითშემეცნების გამომხატველი, „ამირანდარეჯანიანი“, მეხოტბეთა შემოქმედება. გასათვალისწინებელია ავტორის ფენომენის ტრადიცია ბიზანტიური საერო და დასავლეთევროპული სარაინდო რომანებიდან.

ავტორი ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშივე, როგორც პოეტი, მიჯნური, საკუთარ პერსონაჟთა თანამგრძნობი და თეორეტიკოსი. გარდა ამისა, პოემის ტექსტს გასდევს რუსთაველის „კომენტარები“. ეს არის ერთგვარი ჩანართი, სიუჟეტური თვალსაზრისით, მცირე წყვეტა, შეყოვნება, როდესაც რუსთაველი მკითხველის პოზიციიდან აფასებს ამათუ იმ პერსონაჟის ქცევას ან ფაქტს. ხშირად ეს შეფასება ემოციურია. ამ „კომენტართა“ შესწავლამ შესაძლებელი გახადა მათი ერთგვარი კლასიფიკაცია-მარკირება: რუსთაველი ახდენს საკუთარი პიროვნული პროფილის, ეთიკურ-ესთეტიკური და პოეტური მრწამსის წარდგინებას; გამომხატავს თანაგრძნობას, მოწონებას, აღტაცებას,

გაოცებას ან გამობს რაიმე მიუღებელს, ამორალურს. ზოგიერთი „კომენტარი“ ფილოსოფიური ხასიათისაა. ამავე დროს, რუსთაველი არასდროს ივინყებს მკითხველს, არ წყვეტს კონტაქტს მკითხველთან, დაწყებული პროლოგიდან („მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ...“) პოემის დასასრულამდე („ლექსთა მკითხველო, შენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია“. „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“...).

ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ ავტორის ფენომენი ვლინდება არამხოლოდ როგორც შემოქმედისა, არამედ, ამავედროულად, პოემის სიუჟეტში ჩანს იგი, როგორც მონაწილე, თანაგანმცდელი, რეციპიენტი, ამ შემთხვევებში იგი თავისთავში მოიცავს ავტორისა და მკითხველის პოზიციებს.

**A. KAZIYEVA**

*Russia, Pyatigorsk*

*Pyatigorsk State Linguistic University*

## **Traditions of Medieval East Culture in North Caucasian Literature**

North Caucasian literature is a bright example of synthesis of the east western cultural traditions. As a result of long process of interaction all initial composed in polyethnic, polylinguistic national environment there is a unique community of culture, literature which at the beginning of the XX century accepts the structured character.

Ways of distribution of medieval east Muslim cultural tradition had individual character. In this process historical and geographical factors had great value. Dagestan and, first of all, Derbent became one of the first areas which have apprehended the Arab writing and culture. Exactly here the cultural, religious, literary streams going from the East were crossed.

The second half of the X—XV centuries is time of rather fast Islamization of regions of the North Caucasus and is characterized by expansion of communications with the Middle East. Process of strengthening of cultural ties with the Muslim East leads to distribution in the region of Arabic-language literature.

Arabic-language literature of the North Caucasus acquired the new subjects which have come from the East and plots, images and legends, genres and means of expression. Influence of the Arab language culture prepared a basis for the subsequent development on the national soil, both forms, and substantial structure of literature of the Arab East.

Thus, in the North Caucasus the Arabic language till twentieth years of our century were not only church service language, but also language of school, a science, culture.

## **А. КАЗИЕВА**

*Россия, Пятигорск*

*Пятигорский государственный лингвистический университет*

### **Традиции средневековой восточной культуры в северокавказской литературе**

Северокавказская литература является наглядным примером синтеза восточно-западных культурных традиций. В результате длительного процесса взаимодействия всех исходных слагаемых в полиэтнической, полилингвистической национальной среде складывается уникальная общность культуры, литературы, которая в начале XX века принимает структурированный характер.

Пути распространения средневековой восточно-мусульманской культурной традиции носили индивидуальный характер. Большое значение в этом процессе имели исторический и географический факторы. Одним из первых ареалов, воспринявших арабскую письменность и культуру, стал Дагестан и, в первую очередь, Дербент. Именно здесь пересекались культурные, религиозные, литературные потоки, идущие с Востока.

Вторая половина X — XV вв. является временем сравнительно быстрой исламизации районов Северного Кавказа и характеризуется расширением связей с Ближним Востоком. Процесс усиления культурных связей с мусульманским Востоком приводит к распространению в регионе арабоязычной литературы.

Арабоязычная литература Северного Кавказа усвоила пришедшие с востока новые темы и сюжеты, образы и предания, жанры и выразительные средства. Влияние арабской языковой культуры подготовило основу для последующего освоения на национальной почве, как форм, так и содержательной структуры литературы арабского востока.

Таким образом, на Северном Кавказе арабский язык до двадцатых годов нашего столетия были не только языком богослужения, но и языком школы, науки, культуры.

**LELA KHACHIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **From the History of Medieval Christian Poetry**

Small-sized hymns represent one of the most significant elements of the liturgy. The origination of hymnography is directly associated with the hymns of this size, namely. In scholarly literature small-sized hymn known as “Kon-taktion” has been studied well. Its establishment in Byzantine hymnography is associated with the name of Romanus Melodo.

For the study of other small-sized hymns of the earliest period special attention deserves their Georgian translations which enter important liturgical and hymnographic collections - : “The Oldest Tropologion” and “Lenten Triodion”.

Among Georgian hymnographers Ioane Minchkhi (the second half of the 10<sup>th</sup> century) is distinguished by the multiplicity of small-sized hymns. Currently, over 100 small-sized hymns by Minchkhi have been revealed in Georgian manuscripts which are distinguished from the theological and artistic points of view. The majority of them is created for Triodion and takes into account the number of requirements characteristic to this collection. Ioane Minchkhi added the original Georgian layer to the collection translated from the Greek in the form of small-sized hymns. In Georgian hymnography this is considered to be one of the few cases of “Nationalisation” of the collection translated from Greek.

Similar phenomenon is found in the tenth-century Bulgarian hymnography. In the eleventh-century manuscript “Botol Triodion” includes the whole cycle of Slavonic hymns – over 80 small-sized hymns whose author is the tenth-century author – Konstantine Preslavski. He was an outstanding representative of Preslav literary school. He was universal scholar of tenth-century Bulgaria who laid the foundation of several branches of Bulgarian spiritual writing. All his creative works bear the mark of national.

Among small-sized hymns in Byzantine hymnography attention deserves Andrew Pyrrhus’s personality “shrouded in mystery” (8<sup>th</sup> century). Main part of his creativity is 85 small-sized hymns for Lent. Andrew Pyrrhus’s all these Stichera is “idiomela” - together with texts, their rhythmic-melodic metres also belong to the same author. These hymns are recognized as the best samples of Byzantine hymnography.

The hymns of three authors are created according to Jerusalemite tradition and together with common signs are distinguished with well-pronounced individualism.



## ლელა ხაჩიძე

*საქართველო, თბილისი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

### შუა საუკუნეების ქრისტიანული პოეზიის ისტორიიდან

მცირე ფორმის საგალობლები ლიტურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სწორედ ამ ფორმის საგალობლებს უკავშირდება უშუალოდ ჰიმნოგრაფიის წარმოშობა. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი „კონტაკიონის“ სახელით ცნობილი მცირე ფორმის საგალობელი, რომლის ფართოდ დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება რომანოზ მელიოდოსის სახელს.

უძველესი პერიოდის სხვა მცირე ფორმის საგალობელთა კვლევისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმსახურებს მათი ქართული თარგმანები, რომლებიც მნიშვნელოვან ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში — „უძველეს იადგარებსა“ და „მარხვანებშია“ შესული.

ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის მცირე ფორმის საგალობელთა სიმრავლით გამოირჩევა იოანე მინჩხი (X საუკუნის ნახევარი). დღეისათვის ქართულ ხელნაწერებში გამოვლენილია მინჩხის 100-ზე მეტი მცირე ფორმის საგალობელი, რომლებიც გამოირჩევა თეოლოგიური და მხატვრული თვალსაზრისით. მათი უმეტესობა განკუთვნილია „მარხვანისათვის“ და ითვალისწინებს ამ კრებულისათვის დამახასიათებელ რიგ მოთხოვნებს. ბერძნულიდან თარგმნილ კრებულში, მცირე ფორმის საგალობელთა სახით, იოანე მინჩხმა შეიტანა ორიგინალური, ქართული ფენა. ეს იყო ბერძნულიდან თარგმნილი კრებულის „გაქართულების“ იშვიათი შემთხვევა ქართულ ჰიმნოგრაფიაში.

მსგავს მოვლენას ვხვდებით X საუკუნის ბულგარულ ჰიმნოგრაფიაში. XI საუკუნის ხელნაწერში — „ბიტოლის ტრიოდონი“ შესულია ორიგინალური — სლავური საგალობლების მთელი ციკლი — 80-ზე მეტ მცირე ფორმის საგალობელი, რომელთა ავტორია X ს-ის მოღვაწე — კონსტანტინე პრესლაველი. ის იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი პრესლავის ლიტერატურული სკოლისა. მისი სახით X ს-ის ბულგარეთს ჰყავდა უნივერსალური მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბულგარული სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს. მთელი მისი შემოქმედება ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი.

მცირე ფორმის საგალობელთა შორის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ყურადღებას იქცევს ანდრეა პიროსის „იდუმალებით მოცული“ პიროვნება (VIII საუკუნე). მისი შემოქმედების ძირითად ნაწილსაც წარმოადგენს „მარხვანისათვის“ განკუთვნილი 85 მცირე ფორმის საგალობელი. ანდრეა პიროსის ყველა ეს სტიქარონი „თუთძლისპირია“ — ტექსტებთან ერთად, მათი რიტმულ-მელოდიური საზომებიც ამავე ავტორს ეკუთვნის. ეს საგალობლები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებადაა მიჩნეული.

სამივე ავტორის საგალობლები შექმნილია იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით და საერთო ნიშნებთან ერთად, გამოირჩევა მკვეთრად გამობატული ინდივიდუალიზმით.

## **TAMAR KHVEDELIANI**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Once Again on the Problem of “The Story of Indo-Khataels”**

“The story of Indo-Khataels” has remained one of the most disputable episodes of the *Vepkhistqaosani*. In spite of the persistent scholarly interest, there has not yet been given the answer to the question, whether it belongs to the main text of the poem or like other “stories” is a supplement part, the creative output of a subsequent creator.

The first printed *Vepkhistqaosani* issued by Vakhtang VI has quite justly established the name of a serious scholarly edition but with this the abovesaid edition put forward one controversial question too. The enlightened monarch considered the so-called included episodes to be a certain part of the text known before from the manuscripts and at his “own will” (academician S.Tsaishvili) he shortened it. He wrote extremely important commentaries especially for this edition but the reason of the above mentioned textological interference and ground were not explained.

This problematic question divided the society into two parts. One part of the scholars and researchers maintained the idea that “The story of Indo-Khataels” belonged to the main text, another part – considered it an inclusion. There were also those who believed it to be a restored text. In their view, this passage needed “appropriate philological exclusion” and separation of Rustvelic passages from non-Rustvelic ones.

The plot of the poem really gives the impression that after the Kajis attack and Nestan’s liberation the story is finished, the interest gradually slows down,

but we cannot deny the fact that without a few obligatory episodes of “The story of Indo-Khataels” the poem would not have a finished, compositionally connected form with a complete plot.

The poem is built on the principles of a fairy tale. Moreover, it is based on the invariant of the fairy tale that becomes evident by comparative structural analysis of the *Vepkhistqaosani* and more than one folkloric text. It has been revealed that the functions are determined, dictated by logical and artistic necessity, that they follow from each other so that they do not exclude each other and the *Vepkhistqaosani* almost follows the scheme which was formulated by V. Propp on the ground of the analysis of numerous fairy tales of various peoples.

We think, that it is possible, with certain correction, to share the views of those scholars who regard “The Story of Indo-Khataels” as an integral part of Rustveli’s poem. In order to ground our view, we have found appropriate arguments which testify to the rightness of our views.

We do not deny that the text of “The story of Indo-Khataels” requires further study but it should be noted here that it does not concern only the above stated episode. The trace of the later inclusions is easily observed in the main, less controversial part of the poem.

## თამარ სვიდელიანი

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### ისევ „ინდო-ხატაელთა ამბის“ პრობლემის გამო

„ინდო-ხატაელთა ამბავი“ დღემდე რჩება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ საკამათო ეპიზოდად. მიუხედავად მკვლევარ-მეცნიერთა ინტერესისა, დღემდე არ გასცემია პასუხი კითხვას: ნამდვილად ეკუთვნის იგი ძირითად ტექსტს პოემისას, თუ, სხვა „ამბავთა“ მსგავსად, დანართი მონაკვეთია, შემდეგდროინდელი მოღვაწის შემოქმედების ნაყოფი.

ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემულ პირველ ნაბეჭდ „ვეფხისტყაოსანს“, სავსებით სამართლიანად აქვს დამკვიდრებული სერიოზული მეცნიერული გამოცემის სახელი, მაგრამ ამასთან ზემოხსენებულმა გამოცემამ ერთი საკამათო საკითხიც წამოჭრა. სწავლულმა მეფემ მანამდე ხელნაწერებით ცნობილი ტექსტის გარკვეული ნაწილი ე.წ. ჩანართ ეპიზოდებად მიიჩნია და „საკუთარი შეხედულებისამებრ“ (აკად. ს. ცაიშვილი) მოკვეცა. მან, საგანგებოდ ამ გამოცემისთვის, მეტად მნიშვნელოვანი კომენტარები დაწერა, თუმცა ზემოხსენებული ტექსტოლოგიური ჩარევის მიზეზი და საფუძველი არ განუმარტავს.

ამ პრობლემურმა საკითხმა საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო. მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი „ინდო-ხატაელთა ამბავს“ ძირითადი ტექსტის კუთვნილებად აცხადებდა, მეორე ნაწილი — ჩანართად თვლიდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მას რესტავრირებულ ტექსტად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ეს მონაკვეთი საჭიროებდა „სათანადო ფილოლოგიურ გაცხრილვას“ და რუსთველური ადგილების არარუსთველურისგან გამიჯვნას.

პოემის სიუჟეტი მართლაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქაჯეთის იერიშისა და ნესტანის გათავისუფლების შემდეგ სრულდება თხზულება, ინტერესი თანდათან ნელდება, მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის“ რამდენიმე აუცილებელი ეპიზოდის გარეშე პოემას არ ექნება დასრულებული, კომპოზიციურად შეკრული და სიუჟეტურად გამთლიანებული სახე.

პოემა ჯადოსნური ზღაპრის პრინციპზეა აგებული. უფრო მეტიც, მას ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უდევს საფუძვლად, რაც თვალსაჩინო გახადა „ვეფხისტყაოსნისა“ და არაერთი ფოლკლორული ტექსტის შედარებითმა სტრუქტურულმა ანალიზმა. გამოიკვეთა, რომ ფუნქციები განსაზღვრულია, ლოგიკური და მხატვრული აუცილებლობით ნაკარნახევი, რომ ისინი ერთმანეთისაგან ისე გამომდინარეობენ, რომ ერთმანეთს არ გამორიცხავენ და რომ „ვეფხისტყაოსანი“ ლამის კვალდაკვალ მისდევს იმ სქემას, რომელიც ვ. პროპმა ჩამოაყალიბა სხვადასხვა ხალხის მრავალ ზღაპარზე დაკვირვების შედეგად.

მიგვაჩნია, რომ გარკვეული კორექტივით შესაძლებელია იმ მეცნიერთა შეხედულების გაზიარება, რომლებიც „ინდო-ხატაელთა ამბავს“ რუსთველის პოემის კუთვნილებად თვლიან. ჩვენი შეხედულების დასასაბუთებლად მოძიებული გვაქვს სათანადო არგუმენტაცია, რომლებიც, ვფიქრობთ, ჩვენი შეხედულების მართებულობის სასარგებლოდ მეტყველებს.

არ უარყოფთ, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის“ ტექსტი კვლავაც საჭიროებს კვლევას, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ ზემოხსენებულ ეპიზოდს როდი ეხება. პოემის ძირითად, ნაკლებად საკამათო ნაწილშიც ადვილად შესამჩნევია გვიანდელი ჩანართების კვალი.

**KETEVAN KHITARISHVILI**

*Georgia, Tbilisi*

*National Centre of Manuscripts*

### **The Theological and Symbolic Interpretation of the Passage from the “Life of Saint Nino”**

From the theologian and symbolic viewpoint it is interesting the part of giving to Saint Nino the “Sealed Book” (identical “Ten words”) at a lake Pharavani in the text of the “Life of Saint Nino”. The “Sealed book” first was mentioned in “Revelation” of saint John the Theologian. Studying separately and also jointly apocalyptic the “Sealed Book” and the other version of the “Sealed Book” (identical “Ten words”) of the Georgian “Life of Saint Nino” revealed that in both texts a mission of disciples is very honorable work. That is exactly what the white, red and black horses of the “Revelation” indicates. According to that point the chapters of the text of “Life of Saint Nino” are divided correspondingly but first of all, the “Sealed book” predicts eschatological future.

It is worth to mention that the description of the apocalyptic “Sealed book” gives us an idea and helps to imagine what the “Ten words” (the “Sealed book”) given to saint Nino was like.

In the text of the “Life of Saint Nino” an apocalyptic motive indicates that the hope and attention of newly converted Georgian nation is related to the waiting of second coming of our Saviour. This consideration is proved by the “Ten words”, named also as the “Sealed book”, and by the words of the characters of the “Life of Saint Nino” as well.

It is worth mentioning that after receiving the “Sealed book” saint Nino strengthens spiritually and begins missionary work.

### **ქეთევან ხითარიშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

### **„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთი პასაჟის საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი გააზრებისათვის**

საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი თვალსაზრისით „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ საინტერესოა ფარავნის ტბასთან წმინდა ნინოსადმი „ნიგნი დაბეჭდულის“ (იგივე „ათი სიტყვის“) გადაცემის პასაჟი. ძეგლში ნახსენები „ნიგნი დაბეჭდული“ სათავეს იღებს იოანე

ღვთისმეტყველის „გამოცხადებიდან“. აპოკალიფსური „ნიგნი დაბეჭდულისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ „ათი სიტყვის“, ანუ „დაბეჭდული ნიგნის“ ცალ-ცალკე და ერთიანობაში შესწავლამ ცხადყო, რომ ორივე ძეგლში მოციქულებობრივი ღვანლი დიდი პატივია უფლის წინაშე, რაზეც მიანიშნებს „გამოცხადების“ თეთრი, წითელი, შავი ცხენის სიმბოლური დატვირთვა. ამ აზრითვე გამოიყოფა „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ გარკვეული მუხლები, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, „ნიგნი დაბეჭდული“ ესქატოლოგიურ მომავალს წინასწარმეტყველებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აპოკალიფსური „ნიგნი დაბეჭდულის“ აღწერილობა გარკვეულ წარმოდგენას ქმნის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო წმინდა ნინოსადმი ბოძებული „ათი სიტყვა“ („ნიგნი დაბეჭდული“).

„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ აპოკალიფსური მოტივის მოხმობით მინიშნებულია, რომ ახლად მოქცეული ერის სულიერი მზერა მაცხოვრის მეორედ მოსვლის მოლოდინისკენაა მიმართული. ამას ადასტურებს როგორც „ათი სიტყვის“ გააზრება, რომელიც „ნიგნი დაბეჭდულადა“ სახელდებული, ასევე მეფე მირიანისა და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სხვა პერსონაჟთა სიტყვები.

გასათავალისწინებელია ისიც, რომ „დაბეჭდული ნიგნის“ მიღების შემდეგ ნეტარი ნინო სულიერად განმტკიცდება და ქმედითად იწყებს სამისიონერო ღვანლის აღსრულებას.

## **ELENA KIRSANOVA**

*Russia, Moscow*

*MSLU*

### **Food Symbolism in Literary Works of Medieval England**

The alimentary code (both as a non-verbal semiotic system and as its verbal manifestation) attends to the fundamental human needs (biological and social) and as such has long become an essential and integral part of communication, acquiring an exceptionally wide range of application – from basic everyday situations to highly sophisticated figures of speech.

The author's conscious or subconscious intention to state his position (communion/ renunciation) to specific foodways is quite explicable in view of the fundamental significance attained to food and respective human experience in the process of self-cognition and development.

This intention is implemented either through literal portrayal of associated rituals (cooking/ eating) or through metaphoric conceptualization of the given human activity.

While reflecting the historical and cultural environment in the text, the alimentary code performs a number of functions: poetic, symbolic, ethic, emotional and expressive, hedonistic, satirical, memorable, and euphemistic.

The paper addresses the role of food symbolism in explicating the authorial intention of works pertaining to Medieval English literature.

Specifically, since classical literature (Juvenal, Petronius), and subsequently the literature of the Middle Ages and Renaissance (F. Rabelais, G. Chaucer, E. Spenser, J. Milton, W. Shakespeare), food references and food images have provided fabric for many humorous works and served as a means of keen satire to ridicule social and moral evils, sordid desires and vulgar tastes. By referring to this element of the 'grotesque body', according to M.M. Bakhtin's definition, the author employs the language of popular culture and the idiom of folk humor to lift the restrictions imposed by the linguistic, epistemological, and cognitive patterns of official culture, and to expose literary characters whose lives are confined to ignoble pleasures.

## **ЕЛЕНА КИРСАНОВА**

*Россия, Москва*

*МГЛУ*

### **Символика алиментарного кода в произведениях авторов Средневековой Англии**

Обслуживая сферу базовых потребностей человека (биологическую и социальную), алиментарный код (как невербальная знаковая система, так и его вербальное отражение) является неотъемлемой частью коммуникации и обладает исключительно широким диапазоном использования – от элементарных бытовых ситуаций до весьма изощренных риторических приемов.

Осознанное или неосознанное стремление автора выразить свое отношение (приобщение/ отторжение) к определенным традициям питания вполне закономерно, учитывая ту фундаментальную роль, которую пища и связанный с ней опыт играют в процессе самопознания человека и развития цивилизации.

Это стремление реализуется через буквальное изображение соответствующих ритуалов (приготовления/ приема пищи) либо через метафорическое осмысление данной сферы бытия.

Отражая историко-культурную среду в тексте художественного произведения, алиментарный код выполняет разнообразные функции, в числе которых можно выделить текстообразующую (поэтическую), символическую, нравственно-этическую, эмоционально-экспрессивную, гедонистическую, сатирическую, памятную, характеризующую и эвфемистическую.

Исследование посвящено изучению роли алиментарного символизма в развертывании авторского замысла произведений Средневековой Англии.

Так, например, со времен классической античной литературы (Ювеналий, Петроний), а позднее и литературы Средневековья и Возрождения (Ф.Рабле, Дж.Чосер, Э.Спенсер, Дж.Милтон, У.Шекспир) гастрономическая тема была основой многих юмористических произведений, а также средством политической и социальной сатиры, с помощью которой едко высмеивались общественные и нравственные пороки, низменные ценности и проявления вульгарного вкуса. Этот элемент «телесного низа», по определению М.М. Бахтина, позволяет преодолевать ограничения, накладываемые лингвистическими, эпистемологическими и когнитивными моделями «официальной» культуры, и используется для обличения литературных героев, чья жизнь подчинена удовлетворению низменных удовольствий.

## **IRAIDA KROTENKO**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

### **The Medieval Russian Literature and Culture Across East and West**

Cultural orientation of medieval Rus was matter of argument between the supporters of Greek education and Latin people. Church remained the basic ideology. We observe the arising of non clerical literature formed by the literate intelligentsia. It should be mentioned that at present we can view the remains such as constructions. wall painting plastic arts, icons expressing creative realistic experience. It is significant to mention that iconographers created the unique compositions unknown to Byzantine Empire. So, reckoning Russia among the countries of Byzantine Empire has historic ground and needs to be rendered more precise. It is unlikely that the essence of Russian culture is presented as “the intercrossing of Byzantium and western civilizations”.(N. Voronin) In modern theoretical poetics we overlook the dispute on Renaissance, its tendencies, borders and their influence on other cultures. It makes sense to speak about



distinctive and double quick development of Russian creation in the XII-XIII centuries. It is interesting to note that at that period the proportion of Byzantium value adoption was being reduced. The painters deformed the Byzantium style, developed the new iconography ways as well as took up the southern Slav experience. It is difficult to conceive the genesis of “The Lay of Igor’s” without its historic and cultural background. In the 12<sup>th</sup> century the Georgian poem “ The Knight in the Panther’s skin“ and the French poem “ The Song of Roland “ were also created. Orthodox values in these two poems express their relatedness, for example, woman worship in Georgian culture and literature and refocusing of Christ worship on Holy Mother . That was the period of creating the large-scale poems, of great historical events, of unification for preservation of the national culture, the spiritual revival of a person in Russia, France and Georgia.

### **ИРАИДА КРОТЕНКО**

*Грузия, Кутаиси*

*Государственный университет Акакия Церетели*

## **Средневековая русская литература и культура между Востоком и Западом**

Вопросы культурной ориентации в средневековой Руси решаются между сторонниками греческого образования и латинянами. Церковь остается оплотом идеологии. Постепенно возникает светская культура, которую формирует новый слой интеллигенции. Следует по-новому оценить дошедшие и чудом уцелевшие сооружения, стенопись, образцы мелкой пластики, иконы, в которых отразилось творческое освоение реального опыта. Иконописцы создают оригинальные художественные композиции на темы, не известные в Византии. Причисление Руси к странам византийского мира имеет историческое обоснование, требует уточнений. Вряд ли сущность русской культуры следует представлять как «пересечение византийской и западной цивилизации» (Н.Воронин). В современной теоретической поэтике продолжаются споры по поводу Возрождения, его тенденций, границ и влияний на другие культуры. Целесообразнее говорить о самобытном и ускоренном развитии русского художественного творчества на рубеже XII-XIII веков. В этот период значительно снизился удельный вес усвоения византийских ценностей. Художники деформировали византийский стиль, вырабатывали новые приемы иконографии, воспринимали и опыт южных славян. Без понимания исторической и культурной атмосферы времени трудно понять возникновение «Слова о полку

Игоре», генезис жанра «Слова» фактически утерян. Эпоха создания «Слова» интересна тем, что в XII веке написаны французская «Песнь о Роланде», грузинская поэма «Витязь в тигровой шкуре». Духовные православные ценности в русском «Слове» и грузинской поэме «Витязь в тигровой шкуре» определили и еще одну степень родства двух эпохальных произведений: культ женщины в грузинской культуре и литературе, и переориентация с культа Христа на культ Богородицы на Руси. Это время создания масштабных произведений, больших исторических событий, объединения во имя сохранения национальной культуры, духовного возрождения личности в России, Франции, Грузии.

**NESTAN KUTIVADZE**

*Georgia, Kutaisi*

*Akaki Tsereteli State University*

**Allusion Peculiarities of ‘The Knight in the Panther’s Skin’  
by Shota Rustaveli in the Late XIX Century  
Georgian Literature**

‘The Knight in the Panther’s Skin’ by Shota Rustaveli fully revealed the spiritual world of our nation. Therefore, the masterpiece of Georgian literature is not limited within the epochal frame and constantly gives the possibility of its distinctive scientific and artistic interpretation. In this regard, Georgian literature of the 80-90-ies is not an exception either.

Searching the hero was not the main issue for the knight epoch. It is a key tendency for the later period and especially for Georgian literature of the XIX century. Akaki’s distinctive attitude towards Shota Rustaveli’s poem is well-known. The writer addressed the allusion of ‘The Knight in the Panther’s Skin’ in several works. Bashi-Achuki is a new Avtandili (‘Bashi-Achuki’) and under the captivated sweetheart that Akaki transformed several times a captivated homeland \_ Nestani is implied (‘Grey Hair’).

Allusion of ‘The Knight in the Panther’s Skin’ is revealed in another perspective in Akaki’s small story ‘Small Tarieli’. In the latter physical features of the fearless hero are accentuated. In the work of comic pathos the author raises the issue of bringing up children with heroic spirit.

In the prose of the late XIX century the artistic image of the humiliated knight is created. Its allusion implies Georgian hero of the middle ages. While in Rustaveli’s poem Tarieli who wears the panther’s skin is conceptualized ‘as

the demonstration of tragic period of his personal life, deep spiritual self-analysis, the symbol of the path leading to the God' (Nestan Sulava) Egnate Ninoshvili's 'The Hero of Our Land' exposes the enfeebling of the person unable to analyse his soul.

It is important, that these works clearly show various discourses revealed in one time. Besides, it keeps the ideal unchanged \_ thinking space of 'the Knight in the Panther's Skin', its moral values. During the artistic interpretation of the national pain of the XIX century the values of the poem and ideal characters consciously or subconsciously have always remained to be the spiritual indicator and companion due to the fact that for the centuries its manifestation was changed but the essence has stayed exactly the same.

## **ნესტან კუტივაძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ალუზირების თავისებურებანი XIX საუკუნის დასასრულის ქართულ მწერლობაში**

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ სრულყოფილად წარმოჩნდა ჩვენი ერის სულიერი სამყარო. სწორედ ამიტომ ქართული მწერლობის ეს შედევრი არასდროს იკეტება რომელიმე ეპოქის ჩარჩოში და მუდმივად იძლევა მისი განსხვავებული მეცნიერული თუ მხატვრული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამ მხრივ, გამონაკლისი არც XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული მწერლობაა.

გმირის ძიება არ ყოფილა მხოლოდ რაინდული ეპოსის მთავარი თემა, იგი ძალზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა შემდგომი პერიოდისა და განსაკუთრებით კი XIX საუკუნის ქართული მწერლობისაც. ცნობილია აკაკის გამორჩეული დამოკიდებულება შოთა რუსთაველის პოემისადმი. მწერალმა „ვეფხისტყაოსნის“ ალუზირებას თავის რამდენიმე ნაწარმოებში მიმართა. ბაში-აჩუკი ახალი ავთანდილია („ბაში-აჩუკი“), ხოლო თავად აკაკის მიერვე მრავალჯერ ტრანსფორმირებულ დატყვევებულ სატრფოში ნაგულისხმევი დაპყრობილი სამშობლო ნესტანია („ჭალარა“).

„ვეფხისტყაოსნის“ ალუზირება სულ სხვა რაკურსით ვლინდება აკაკის მცირე ზომის მოთხრობა „პატარა ტარიელში“. მასში პოემის უშიშარი გმირის ფიზიკური თვისებების აქცენტირება ხდება. იუმო-

რისტული პათოსის მქონე ამ ნაწარმოებში ავტორი გმირული სულის-კვეთებით ყმანვილთა აღზრდის თემას წამოჭრის.

XIX საუკუნის დასასრულის პროზაში შექმნილია დამცრობილი რაინდის მხატვრული სახე, რომლის ალუზიამიც შუა საუკუნეების ქართული ეპოსის გმირია ნაგულისხმევი. თუ რუსთაველის პოემაში ტარიელის ვეფხისტყაოსნობა გააზრებულია, „როგორც პიროვნების ცხოვრების, მისი არსებობის ტრაგიკული პერიოდის გამოვლინება, სულიერი თვითჩაღრმავების, საღვთო გზისაკენ სვლის სიმბოლო“ (ნესტან სულავა), ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ იმით არის საყურადღებო, რომ იგი „ვეფხისტყაოსნობის პერიოდის“, საკუთარ სულში ჩაღრმავების უნარდაკარგული ადამიანის დაძაბუნებას ასახავს.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ეს ნაწარმოები კარგად აჩვენებს ერთ დროში გამოვლენილ სხვადასხვა დისკურსს და ამასთან ერთად უცვლელად ინახავს იდეალს — „ვეფხისტყაოსნის“ სააზროვნო სივრცეს, მის ზნეობრივ ფასეულობებს. XIX საუკუნის ეროვნული სატკივრის მხატვრული ინტერპრეტირებისას პოემის ღირებულებები და იდეალური პერსონაჟები გაცნობიერებულად თუ ქვეცნობიერად მუდმივად რჩებოდნენ სულიერ ორიენტირად და თანამგზავრად, რადგან საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა მისი კონკრეტული გამოვლინება და არა არსი.

## **GOCHA KUCHUKHIDZE**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Redactions of “The Life of St. Gregory the Illuminator” and the Date of Kartli’s Christianization**

According to the Arabic and Greek redactions of “The Life of St. Gregory the Illuminator” (the surviving manuscripts are dated from the 10<sup>th</sup> and 12<sup>th</sup> centuries) Armenia, Georgia, Lazica and Albania adopted Christianity approximately at the same time. Following the Arabic redaction this happened before the Second Council of Nicaea was convened (325). By Greco-Arabic redactions, the king of Armenia – Trtad was converted to Christianity in the autumn.

“The Life of St. Nino” accounts that the king of Kartli (Iberia) – Mirian was converted to Christianity on Saturday, 20 July. Vakhushti Bagrationi was the first who called attention to the fact that July 20 and Saturday coincided in the

year of 317. He considered the year of 317 to be the date of Kartli's conversion. It seems that the scholar considered to be false the account of "The Life of St. Nino" according to which Saint Nino entered Kartli after the Council of Nicaea. These issues were discussed in the earlier works.

We share the opinion expressed in scholarly literature concerning the creation of "The Life of St. Nino" in the 4<sup>th</sup> century. At the same time, in our view the archetype of this monument is to be restored. In recent years, for restoration purpose of the earliest form of the mentioned composition we have studied more than once the issue of the relationship of the 10<sup>th</sup> -13<sup>th</sup>-century redactions of "The Life of St. Nino", Leonti Mroveli's "The Life of Kings", Nikoloz Gulaberidze's "Reading of the Tree of Life, the Robe of Christ and Church".

Textological analysis of the above stated sources testifies to the fact that the record related to the entering of the Enlightener of Georgians into the Eastern Georgia (Kartli) after the Council of Nicaea must have been included in "The Life of St. Nino" later. On the ground of the analysis of historical documents we can suppose that the date indicated by Vakhushti Bagrationi is acceptable and Georgian king Mirian really must have been converted to Christianity in the summer of 317. It is worthy of note that the king Mirian in July, 317 and king Trtad a little bit later – approximately in the autumn of 317, were converted into Christianity (according to Arabic redaction Trtad tortured all Hripsimeans on 26 September and by Greek redaction – on 26 October, as a result he was struck with an illness and was healed only after he accepted Christ).

The kings Mirian and Trtad seem to be converted to Christianity in 317. As regards the invitation of ecclesiastic figures to the countries and proclamation of Christianity as an official religion, this probably happened a little later, in the following year of 318.

## **გორა კუჭუხიძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„წმიდა გრიგოლ პართელის ცხოვრების“ რედაქციები და ქართლის გაქრისტიანების თარიღი**

